საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან · № 128 (673) · პარასკევი, 18 ივნისი, 1993 წელი · ფასი 10 კუპონი

ედუარდ შევარდნაძე: „ჩვენ ვგრძნობთ მსოფლიო გაერთიანების თანადგომასა და მხარდაჭერას“

გერმანიაში თავისი ვიზიტის წინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** ინტერვიუ მისცა ევროპის პრესსამსახურის (ლაიფციგი) კორესპონდენტს.

სახელმწიფოს მეთაურმა გააანალიზა აფხაზეთში შექმნილი ვითარება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლად ამ კონფლიქტის მოწესრიგება ნაყოფს ვერ გამოიღებს. ჩვენ რეგულარული კონტაქტები გვაქვს გაეროს სხვადასხვა სამსახურთან და მივედივართ ერთ აზრამდე, რომ უნდა გაგრძელდეს მოლაპარაკების პროცესი რუსეთის მონაწილეობით. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თუ ამ გზას შედეგი არ მოჰყვა, ჩვენ გვექნება უფლება ამისათვის პასუხისმგებლობა რუსეთის ხელისუფლებასაც დავაკისროთ. საქართველო იცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო საზღვრების ურღვევობას, ამასთან მთელ თავის დიპლომატიურ ძალისხმევას ახმარს საკითხის პოლიტიკურ გადაწყვეტას.

უნდა აღვნიშნო, რომ მსოფლიო გაერთიანება ამ თვალსაზრისით ავლენს პრობლემის სწორად გაგებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უკვე გადადგა კონკრეტული ნაბიჯები: საქართველოში ბრძანდებოდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ბატონი ედუარდ ბრუნერი, საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე გაეცნობა საქმის ვითარებას, რათა მიეცეს შესაძლებლობა გამოიტანოს თავისი ავტორიტეტული დასკვნა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ანდრია კოზირევის ამასწინანდელი ვიზიტი საქართველოში აგრეთვე არსებით ნაბიჯად მიგვაჩნია მოწესრიგების თვალსაზრისით. ჩვენთვის აუცილებელია რაც შეიძლება მალე და საბოლოოდ დავამთავროთ კონფლიქტი აფხაზეთში, რადგან ეს კონფლიქტი ხელოვნურად არის გამოწვეული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობასთან ერთად საქართველოში საქმიანი დაინტერესებაც მოვა. ამას უკვე იჩენენ სახელმწიფოები, რომლებთანაც სახელშეკრულებო ურთიერთობანი დავამყარეთ.

მსოფლიო წესრიგზე გლობალური მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, განაგრძო შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, ჩემი აზრით, „ცივი ომის“ სტადიიდან გამოსვლისას, მსოფლიო მთლიანად მომზადებული ვერ აღმოჩნდა ეროვნული ეთნიკური თუ რელიგიური თვითშეგნების არაადეკვატური, სპონტანური და გამწვავებული გამოვლინებებისათვის. რუსეთის მიერ თავისი გავლენის დაკარგვამ, ბუნებრივია, აამოქმედა ცენტრიდანული ძალები, შეიქმნა „ცხელი წერტილები“, ანდა პოტენციურად აფეთქებასაშიში რეგიონები მკვეთრი ეკონომიკური დისბალანსის გათვალისწინებით.

დღეს ჩვენ ყველამ აუცილებლად უნდა ვეძებოთ ახალი მარეგულირებელი ელემენტები ორმხრივ თუ მრავალმხრივ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. საქართველო ცდილობს სწორედ ასე ააგოს თავისი პოლიტიკა — შეწონასწორებულად, ნეიტრალიტეტის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდაინტერესების პრინციპებზე დაყრდნობით.

შეეხო რა თავის მომავალ ვიზიტს გერმანიაში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ჩვენი ორი ქვეყნის საქმიან ურთიერთობას დიდი ხნის ტრადიციები აქვს და, უეჭველია, რეალური პერსპექტივაც. მინდა გავიხსენო ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1918 წელს გერმანია მიესალმა დამოუკიდებელი საქართველოს დაბადებას და მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა მას. სამწუხაროდ, ისტორიის ჩარხი უკუღმა შეტრიალდა — თავისუფალმა საქართველომ მხოლოდ 1921 წლის თებერვლამდე იარსება. ახლა ჩვენ სახელმწიფო მშენებლობის ურთულეს პროცესს, აღორძინების პროცესს განვიცდით. ამ ძნელ გზაზე ვაწყდებით მრავალ დაბრკოლებას, მათ შორის ხელოვნურსაც, რომლებსაც გვიქმნის როგორც იმპერიული ამბიციები, ასევე შინაგანი წინააღმდეგობანიც.

მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ მსოფლიო გაერთიანების თანადგომასა და მხარდაჭერას. გულწრფელ მადლობას ვუხდით გერმანელ ხალხს, ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებსა და ხელმძღვანელობას, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გამოგვიწოდა მეგობრობის ხელი.

უკვე აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენთან საფინანსო, საბანკო, სხვა სფეროების ექსპერტები. საინტერესო პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო და კულტურულ გაცვლას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სხვადასხვა პრობლემის გამო ურთიერთკონსულტაციების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ისეთი დოკუმენტის მომზადება, როგორიც არის განცხადება სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის საფუძვლების შესახებ. ჩვენ გვესმის, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია, რათა ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი იყოს. მზადდება ახალი საკანონმდებლო ბაზა უცხოურ ინვესტიციათა დასაცავად, რომელსაც საფუძვლად უდევს ევროპული სტანდარტები და, არსებითად, ულტრალიბერალურია. და ჩვენ მოველით, რომ გერმანია, უწინარეს ყოვლისა, ევროპას უჩვენებს საქართველოსთან მჭიდრო და დაინტერესებული თანამშრომლობის მაგალითს.

ახალი შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს პრესცენტრიდან გვაცნობს, რომ 17 ივნისს 30 „კამაზისაგან“ შემდგარი ქარავანი სოხუმიდან ოჩამჩირისაკენ გაემართა. ავტომანქანებს რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის ემბლემა აქვს. ავტომანქანებს მიაცილებენ რუსეთის შეიარაღებული ძალების ტანკები, აქციის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის, ქართულ-აფხაზური მხარის წარმომადგენლები, რუსეთისა და საქართველოს ჯარების მცირე კონტინგენტი.

ფრონტისპირა ზონების მოსახლეობა, იცნობს რა ამ აქციის მოწყობის ფაქტს, გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ მისი დამთავრების შემდეგ საომარი მოქმედება შეიძლება განახლდეს და თანაც — უფრო ინტენსიურად.

შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მოწინააღმდეგე მხარე მარაგდება სურსათით, რომელიც როგორც ეს არაერთხელ გაირკვა, ძირითადად მოთარეშეებს ხვდებათ. გარდა ამისა, საომარი მოქმედების ზონიდან გაჰყავთ მშვიდობიანი მოსახლეობა, ძირითადად აფხაზები და რუსულენოვანი მოქალაქეები.

ამგვარი პესიმიზმის საფუძველი შიში კი არ არის, არამედ წინა აქციების მწარე გამოცდილება. მათი ჩატარების შემდეგ სოხუმის დაბომბვა და საომარი მოქმედება ყოველთვის უფრო მწვავე და მძიმე ხასიათს იღებდა.

იოსაბ ბოსაძია.

• • •

რა მოხდა ქუთაისში?

საქინფორმის კორესპონდენტი მაკა კილაძე ქუთაისიდან იტყობინება: ტრაგედიამ, რომელიც 16 ივნისს, დღისით — მზისით ქალაქის ცენტრში დატრიალდა, ერთიანად შეძრა დიდი და პატარა. რამდენიმე წუთის განმავლობაში საგზაო პოლიციისა და სპეციდანიშნულების რაზმის მუშაკები დასდევდნენ ქალაქში შემოჭრილ ე. წ. სუპერ-მაზის ტიპის მძიმეწონიან მანქანას, რომელსაც ასდევდა სროლა ორივე მხრიდან. ავტომანქანა დაეჯახა ქუთაისელ რამაზ ზაუტაშვილს, იგი ადგილზევე გარდაიცვალა. დაიჭრა ერთი მოქალაქე და პოლიციის ორი მუშაკი. შეტაკებისას მოკლეს ერთი ბოროტმოქმედი, მეორე კი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. რაც შეეხება მანქანაში მყოფ მესამე პიროვნებას, მან მოახერხა მიმალვა. მანქანაში აღმოჩნდა ავტომატური იარაღი.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრეს სამხედრო პროკურატურის ქუთაისის განყოფილებაში, წინასწარი მოკვლევით მანქანა ეკუთვნის თბილისის ერთ-ერთ ორგანიზაციას და იგი თბილის-ქუთაისის მაგისტრალის [illegible] მონაკვეთთან შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს. დაღუპულები — დავით და ნიკოლოზ გელაშვილები პირადობის მოწმობის მიხედვით, რომლის სისწორეც მოწმდება, შეიარაღებული ფორმირება „ავაზას“ წევრები არიან.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე



აგროფირმის პირველი ნაბიჯები

კოლმეურნეობის მიწების პრივატიზაციის შემდეგ, თელავის რაიონის სოფელ ხოდაშენში შეიქმნა მევენახეობის აგროფირმა. მისი 120 ჰექტარი ზვრები შევიდა სახელმწიფო სექტორში, ახლა იქ სრული სვლით მიმდინარეობს მცენარეთა შეწამვლა.

მეურნეობის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას იჩენს არა მარტო თავისი ზვრების, არამედ იმ ვენახების მიმართაც, რომლებიც პირად სექტორშია გაერთიანებული.

შაბიამანსა და სხვა შხამქიმიკატებს თანასოფლელებს ნახევარ ფასად მიჰყიდიან. ქიმიკატების მიტანის მთელი საზრუნავი ფირმამ თვითონ იკისრა. ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანია სათბობის ასეთი კრიზისის პირობებში.

ახლა შრომა აგროფირმის ზვრებში მომგებიანი საქმე გახდა, ყოველი მევენახე ყოველდღიურად გამოიმუშავებს 400-700 კუპონს.

ფირმა ძალ-ღონეს არ იშურებს მევენახეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ დღეებში დასრულდა სოფლის გაზიფიკაცია, აშენებულია ფურნე.

სურათებზე: ვენახების შეწამვლა ხოდაშნის აგროფირმის ზვრებში. ჩინებულად ასრულებს თავის საქმეს ტრაქტორისტი ალიკ შიუკაშვილი;

სპარტაკ ჟურაშიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სიღნაღში 14 ივნისს

1. გლეხკაცის სატკივარი

კახეთში, კერძოდ სიღნაღში პარლამენტარების ერთი ჯგუფის გამგზავრების შესახებ რომ მაცნობეს, ვიფიქრე, პურ-მარილი დახვედრებიათ-მეთქი, მაგრამ მოსახლეობასთან შესახვედრადო, რომ დაამატეს, მაშინვე უკმაყოფილო ხალხის საყვედურების კორიანტელი წარმოვიდგინე.

სამწუხაროდ, ასეც იყო...

უპურობამ, უსაწვავობამ, ინფლაციამ, პირველადი მოხმარების საგნების უქონლობამ, ხელმოკლეობამ, ორი წლის მანძილზე მთავრობისაგან დაპირებით ჩაბარებული ყურძნის თანხის გადაუხდელობამ და სხვა ვაიუშველებელმა შეაწუხა გლეხკაცობა. ამას გარდა, სადღეღამისო გადასახადის მაღალმა ფასმა, ფაქტობრივად, უწყლოდ დატოვა სიღნაღის მოსახლეობა. რომ უთქვამთ, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, მართალი ყოფილა, თორემ ასე როგორ გაწირავდა ღმერთი კახეთს და ჩამოხრიალებულ სეტყვას შეატოვებდა მსხმოიარე ზვარს...

... მაინც უძლებს სამშობლოსა და მიწაზე შეყვარებული შეჭირვებული გლეხკაცი, ისევ მზისა და ახალი დღის მოიმედეა ბუნებასთან შესისხლხორცებული. მაგრამ საშველი ხომ უნდა გამოჩნდეს საიდანმე?! იქნებ გლეხის სიბრძნემ და ნაფიქრალმა წამომართოს და ღონიერი ხელი შეაშველოს საქართველოს წაქცეულ ეკონომიკას (რომლის გარეშე ვერც ერთი პოლიტიკა ვერ იარსებებს) და სოფელს, რომლის სიცოცხლისუნარიანობა კვლავ განსაზღვრავს ჩვენს ბედს. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა სიღნაღის რაიონის დეპუტატს ავთანდილ დოლმაზაშვილს, როცა პარლამენტის წევრები აწვია ქიზიყს.

ოთხი საათი ელაპარაკა საერთო და პირად გაჭირვებაზე სიღნაღის გამგეობის სააქტო დარბაზში შეკრებილი მოსახლეობა პარლამენტარებს: რევაზ ჯაფარიძეს, იოსებ ხარატიშვილს, გურამ ყორანაშვილს, ალექსი კობაიძეს, გიორგი ციხისთავს, მიხეილ მჭედლიძესა და ნიკოლოზ გონაშვილს. მართალია, კახელი მასპინძლები ლაპარაკს არ აცდიდნენ ერთმანეთს, ზუზუნებდნენ და ემოციებს დარბაზიდან ხშირ-ხშირი გასვლა-შემოსვლით იოკებდნენ, მაგრამ სათქმელი ბოლომდე თქვეს და გულში არაფერი დაიტოვეს. მათ არც სიღნაღის რაიონის გამგებელი თამაზ ბურდილაძე ჩამორჩა. ღმერთმაც ქნას შესრულდებოდეს სტუმრობის ყველაზე მთავარი მიზანი — გლეხკაცობა როგორმე შეშველებოდეს საქართველოს ეკონომიკას.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება თვით დეპუტატ ავთანდილ დოლმაზაშვილის აზრი:

— საბჭოთა ხელისუფლების მოსვლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობას საკუთარი გენოფონდი გააჩნდა ტრადიციული სტრუქტურითა და ტექნოლოგიით წამყვანსა და სტრატეგიულ დარგებს შორის რაციონალური თანაფარდობით. იგი საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და იხვეწებოდა და ისტორიულად პროგრესულიც აღმოჩნდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მისი ტექნოლოგიური შეცვლა გამოიწვია, რამაც მოიტანა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და ციცქნა გლეხური საკარმიდამო მეურნეობა. აღმოჩნდა, რომ ამ სტრუქტურებში უპირატესობა გლეხურ საკარმიდამო მეურნეობას ხვდა წილად. სამწუხაროდ, საკარმიდამო ნაკვეთების სიმცირემ პროდუქტებით ვერ უზრუნველყო მოსახლეობის მოთხოვნილება. ამას თან დაერთო მწარმოებლის ინტერესების უგულებელყოფა, ანუ წარმოებულ პროდუქტებზე გლეხის მონოპოლიის წართმევა. სახელმწიფო ხომ მას პროდუქციის ღირებულების 20-30 პროცენტს უნაზღაურებდა მხოლოდ. არსებულიდან გამომდინარე, მშრომელი კაცის პროტესტი შემდგომში იმით გამოიხატა, რომ ზურგი აქცია საზოგადოებრივ მეურნეობას და ძირითადი ყურადღება კარმიდამოზე გადაიტანა, სადაც მას 3-ჯერ და მეტი მოსავალი მოჰყავდა.

მწარე გამოცდილებამ დღევანდელ რეფორმამდე მიიყვანა ახალი ხელისუფლება. შეუსწავლელმა საქმემ ხელოვნური სიძნელეები შექმნა სოფლის მეურნეობის სფეროში. პირველ ყოვლისა, ეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეხება. მას მხედველობიდან გამორჩა ახალი პირობებისათვის უდაოდ გასათვალისწინებელი რეკომენდაციათა ციკლი. ამის გამო პრივატიზებამ დააპირისპირა სოფლის გამგეობა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ხელმძღვანელობა. საქმე ისაა, რომ პირველ ეტაპზე კოლმეურნეობამ უუფლებობის გამო, რეფორმის გატარებაში მონაწილეობა ვერ მიიღო, რასაც მიწების უსისტემო განაწილება მოჰყვა. რეფორმის მეორე ეტაპზე კი ორივე მხარის ძალისხმევის მიუხედავად, ადრე დაშვებული შეცდომები მაინც ველარ გამოსწორდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ უაგრონომოდ, უინჟინროდ და მეცნიერული რეკომენდაციების გარეშე დარჩა კერძო სექტორი, რომლის განკარგულებაშიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულის თითქმის ნახევარი გადავიდა.

— რა გამოსავალს ხედავენ შექმნილი მდგომარეობიდან?

— პირველ ყოვლისა, ამჟამად სოფლად არსებული ტექნიკური საშუალებებით შეიქმნას მომსახურების სერვისი, ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საკარმიდამო მეურნეობაში მაქსიმალური მოსავლის მოწევას. პარალელურად უნდა უზრუნველვყოთ სოფელი მცირე ტექნიკით, ენერგორესურსებითა და, შესაძლებლობების ფარგლებში, შეღავათიანი კრედიტებითაც. მწარმოებლის ბედი უფრო გაუარესდა. კონკრეტულად სიღნაღის მაგალითზე: სახელმწიფოს, ისედაც მცირე ანაზღაურებისა და სუპერინფლაციის პირობებში, მოსახლეობისათვის არ გადაუხდია 150 მილიონი მანეთი. არ უზრუნია მათი ენერგორესურსებითა და საჭირო პრეპარატებით უზრუნველსაყოფად.

— ისე გამოდის, რომ ხელოვნურად ეშლება ხელი 1993 წლის მოსავლის მოყვანას.

— სხვათა შორის, ეს ეჭვი გლეხკაცობაშიც გაღვივდა. იგი მეტად საშიშია, რადგან შეიძლება მან რწმენა დაკარგოს ხელისუფლების მიმართ. უფრო მძიმე მდგომარეობაშია მეცხოველეობა.

აგრარული პოლიტიკის გატარებაში არსებული ქაოსი სასწრაფო კომპეტენტურ ჩარევასა და გამოსწორებას საჭიროებს. ამაში იმ დღის შეხვედრამაც დაარწმუნა სიღნაღის სტუმრებიცა და მასპინძლებიც.

ია კალანდარიშვილი.

2. ტრიბუნაზე სათქმელი სიტყვის მაგიერ

პარლამენტის დეპუტატთა მცირე ჯგუფი სიღნაღს ვეწვიეთ ხალხთან შესახვედრად და იქაურ ავ-კარგში გასარკვევად. გულახდილად უნდა ვთქვა: ამგვარად გაავებული, გაცეცხლებული ადამიანები მე პირადად არსად მინახავს. რისამე თქმა და მსმენელებისათვის აზრის გაზიარება შეუძლებელი აღმოჩნდა. მსმენელი თითქმის არავინ იყო, რადგანაც არავინ არავის უსმენდა და ყველა ერთად ლაპარაკობდა.

მე დუმილი და ამ მცირე წერილის დაწერა ვამჯობინე. იქნებ ამ მხრივ უფრო ეშველოს ჩვენს სულ უკან და უკან წასულ საქმეს.

რაიონი ენერგეტიკული რესურსების კატასტროფიულ ნაკლებობას განიცდის, რასაც ის გარემოებაც ემატება, რომ მაღალ მთის კალთაზე გაშენებულ სიღნაღს არ მოეპოვება საკუთარი სასმელი წყალი. სასმელ წყალს ის მეზობელი ლაგოდეხის რაიონიდან იღებს და ამ სიმაღლეზე წყლის ამოტუმბვა დიდძალ ელექტროენერგიას საჭიროებს. ელექტროენერგიის მოხმარების ფასების მკვეთრი გაზრდის გამო მარტო სასმელი წყალი სიღნაღს ყოველდღიურად მილიონნახევარი მანეთი უჯდება. ეს ფული ადგილობრივ საწარმო-დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოების, ბაგა-ბაღებისა და მობინადრეთა ჯიბიდან უნდა ამოვიდეს.

ქალაქს, მის მოსახლეობას, საწარმო-დაწესებულებებს არ შეუძლიათ ამოდენა ხარჯის გაღება და ამიტომაცაა, რომ სიღნაღი ყელამდე ვალშია ჩავარდნილი, რის გამოც წყალი არ მიეწოდება. იქნებ ეს ძნელი წარმოსადგენიც კი იყოს. ქალაქი მთლად უწყლოდაა. რაიონის ხელმძღვანელობის თავდადებული ცდა და მოწადინება საქმეს ვერ შველის. ვალი ვალია და სანამ ახალ კრედიტს მიიღებდე, მას გასტუმრება უნდა!

სიღნაღი საქართველოს სხვა ქალაქებისაგან განირჩევა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და, გვინდა თუ არ გვინდა, მკაცრად ისჯება ამ თავისი მდებარეობის გამო, რაც მისი მოსახლეობის დანაშაული სულაც არ არის.

მე პირადად არ ვიცი, მშვიდად როგორ უნდა დავიძინოთ, სანამ მთელი მრავალათასიანი ქალაქი და მისი მოსახლეობა, ქალები, ბავშვები, მოხუცები ამ ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში გვეგულება! შესძლებენ კი სიღნაღელები გადიდებული ტარიფების მიხედვით ელექტროენერგიის ხარჯების კაბალური ღირებულება გადაიხადონ და სანაცვლოდ მიიღონ სასმელი წყალი, რომელიც საქართველოს თითქმის ყოველ მოქალაქეს ბუნებისაგან უფასოდ ეძლევა?

უკანასკნელი სტიქიური უბედურების — სეტყვის დროს სიღნაღის რაიონს 1700 ჰექტარ მიწაზე დათესილი მოსამკელი ხორბალი და ქერი დაეღუპა (აღარაფერს ვამბობ ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებზე). ამჟამად მოსამკელია პური 15 ათას ჰექტარზე. საწვავის სრული უქონლობის გამო, რასაც მარაგნაწილების უქონლობაც ამძაფრებს, პირნახულს მინდორში დარჩენა ემუქრება. ქვა უნდა გავხეთქოთ და სიღნაღელ მექანიზატორებს გამოვუყოთ საწვავი ბაჯაღლო ოქროდ ღირებული მოსავლის გადასარჩენად. ათასწილ ჯობს, ეს ოქრო აქ დაიხარჯოს, ვიდრე საზღვარგარეთ მამასისხლად ღირებული ხორბლისა და სხვა საკვები პროდუქტების შესაძენად!

იქნებ ზოგმა ვინმემ არ იცის, რომ სიღნაღელებს ორჯერ და კიდევ მეტი ხორბლის მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე მოიხმარენ. მთელი ეს მოსავალი სახელმწიფო ბეღელში ხვდება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ნაწილდება, სიღნაღში კი, ისევე როგორც ყველა სხვა რეგიონში, შემოაქვთ საზღვარგარეთული იმპორტული ხორბალი, რომელიც ადგილობრივ მოყვანილ ხორბალს ხარისხით დიდად ჩამოუვარდება.

ღმერთი აღარ არის? ან ზედმეტ სატრანსპორტო ხარჯებს რისთვის ვეწევით, ანდა ქიზიყელ კაცს რისთვის ვაცლით პირიდან თავისი გარჯით მოყვანილ საკუთარ ლუკმას?

რევაზ ჯაფარიძე

ნომერში

- რაფსანჯანის პოლიტიკური პორტრეტი. 2
- ღმერთი არა გწამთ, ბატონო პროფესორებო? 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის შესახებ

1. **მიღებულ** იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის (გურამ ბარნოვი) და საინიციატივო ჯგუფის (მანანა გიგინეიშვილი, თენგიზ ბუაჩიძე, გიორგი ციციშვილი, როინ მეტრეველი, კობა იმედაშვილი) წინადადება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავის 1994 წლის მაისში აღნიშვნის თაობაზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ინსტიტუტის დაარსების ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად შექმნას საიუბილეო კომისია.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს და დაამტკიცოს საიუბილეო კომისიის მიერ შემუშავებული საიუბილეო ღონისძიებათა ნუსხა და ხელი შეუწყოს მათს განხორციელებას.

4. ქ. თბილისის მერიამ ერთი თვის ვადაში შეისწავლოს და გადაწყვიტოს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობაში განთავსებული სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობიდან გაყვანისა და გამოთავისუფლებული ფართობის აღნიშნული ინსტიტუტისათვის გადაცემის საკითხი.

5. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს კობა იმედაშვილს.

ედუარდ შევარდნაძე.

განიხილავენ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების კონცეფციას

17 ივნისს ქალაქ ფოთში გაიმართა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი.

თათბირზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ზურაბ კირვალიშვილის მიერ წარმოდგენილი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების კონცეფცია. მოისმინეს სხვადასხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების მოხსენებები სატრანსპორტო დერეფნის და საქართველოს საპორტო ქალაქების განვითარების პერსპექტივების შესახებ. თათბირზე გაიმართა დაინტერესებული მსჯელობა სატრანსპორტო დერეფანში მოსალოდნელი ტვირთნაკადების სტრუქტურისა და მოცულობის, საექსპორტო-საიმპორტო და სატრანზიტო წესების სრულყოფის, აგრეთვე ფოთის საზღვაო ნავსადგურის რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის, საქართველოს რკინიგზის შესაძლებლობებისა და განვითარების პერსპექტივების, საქართველოს საავტომობილო გზების გამტარუნარიანობისა და მისი გაზრდის ღონისძიებათა შესახებ. საუბარი შეეხო კოლხეთის დაბლობის მდინარეების სანაოსნოდ გამოყენებას, სატრანსპორტო დერეფნის კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით უზრუნველყოფას, სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საქმეში საქართველოს საავიაციო ტრანსპორტის როლის ამაღლებას. განიხილეს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რიგი აქტუალური საკითხები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა შეიქმნას ამიერკავკასიის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრი შტაბ-ბინით ქალაქ თბილისში და ეს საკითხი გადასაწყვეტად დაისვას ევროგაერთიანების კომისიის წინაშე.

პოლიციის უფროსი თავის სავარძელში რჩება

16 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ თანამდებობიდან გაანთავისუფლეს ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით ზეიკიძე. უკანასკნელი მონაცემებით, ბრძანება მისი გადაყენების შესახებ გაუქმებულია, დ. ზეიკიძე განაგრძობს მუშაობას უწინდელ თანამდებობაზე.

რატომ შეჩერდა ჰუმანური რეისი?

17 ივნისს საღამოსათვის მივიღეთ ინფორმაცია, რომ სოფელ მერკულის მახლობლად შეაჩერეს ჰუმანური ტვირთით სავსე მძიმეწონიანი „კამაზების“ მოძრაობა. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ოჩამჩირის რაიონში დისლოცირებული საქართველოს ჯარების შტაბის ოპერატიულმა მორიგემ აცნობა, აფხაზეთის მხარემ განაცხადა, რომ მისასვლელები აქ დანაღმულია და საჭირო იქნება სამი დღე მათი განნაღმვისათვის. მაგრამ ამდენ ხანს ვერ დაიცდის რუსეთის მხარე, რომელიც ახორციელებს ამ ჰუმანურ აქციას. საქართველოს სამხედროთა მონაწილეობით ეძებენ ახალი სატრანსპორტო დერეფნის გახსნის შესაძლებლობას სატვირთო ავტომობილების ესკორტის შემდგომი წინსვლისათვის.

წინააღმდეგობა გრძელდება

აი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ცხინვალის რეგიონში ხდება შეიარაღებული შეტაკებანი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „ომონის“ რაზმებსა და სხვადასხვა ბანდებს შორის, რომლებიც აქ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან. არის მსხვერპლი. ქართული სოფლების მოსახლეობის მდგომარეობაზე ამგვარი სიტუაცია ჯერჯერობით გავლენას არ ახდენს. თუმცა ცხინვალზე ქართველთა გავლა ჯერ კიდევ საშიშია მათთვის, აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს რეგიონში საქართველოს სამშვიდობო ძალების მეთვალყურემ ონისე გაჩეჩილაძემ.

დანიშვნა

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით **ლევან ჯღარკავა** დაინიშნოს მარტვილის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ლევან ჯღარკავა დაიბადა 1948 წელს, მარტვილის რაიონის სოფელ ნაგვაზაოში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო ტრანსპორტის ფაკულტეტი (ქ. თბილისი). მუშაობდა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აპარატში ინჟინრის, უფროსი ინჟინრის და კადრების განყოფილების უფროსის თანამდებობებზე, ტრანსპორტის სამინისტროს სასწავლო კომბინატის გენერალურ დირექტორად, ავტოშემკეთებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად, მარტვილის აგროსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად, რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ, პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკის დირექტორად. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი ყველასათვის უნდა კანონობდეს!

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება

უკანასკნელ პერიოდში უაღრესად დაიძაბა სიტუაცია ჩვენს სამშობლოში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო იმყოფება უზარმაზარი საფრთხის წინაშე და ეს საფრთხე ახლაც, ისევე როგორც 1921 წელს, იმპერიალისტური რუსეთისაგან მომდინარეობს.

საეჭვოდ და სახიფათოდ გააქტიურებულმა რუსეთის აგენტურამ შეძლო როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება „ზვიადისტურ" ძალებთან ერთად საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. დესტრუქციული ძალები უკვე აღარც მალავენ თავიანთ ზრახვებს, და თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს წინ კიდევ ერთი აფეთქება მოელის, რომელსაც ჩვენი ხალხი უკვე ვეღარ გაუძლებს.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ მტრულმა ძალებმა შეძლეს შევარდნაძის მხარდამჭერი ზოგიერთი ძალის გამოთიშვა, ხოლო ზოგიც საკუთარი ნებით გადაბარგდა მოწინააღმდეგე ბანაკში.

გააქტიურდა გროზნოში მყოფი „შულავერის მთავრობა", რომელსაც რუსეთი უკვე ღიად უჭერს მხარს. გამსახურდია რუსეთის სპეცსამსახურების რეკომენდაციებით მოძღვრავს თავის ადგილობრივ მომხრეებს.

მოსალოდნელია აფხაზეთში რუს-აფხაზთა გააქტიურება, ხოლო სოხუმისა თუ ოჩამჩირის დაკარგვა შექმნის მშვენიერ ფონს შევარდნაძის გადასაყენებლად.

ხალხის უმძიმესი მატერიალური მდგომარეობა და „პურის პრობლემა" კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას და ხელს უწყობს დესტრუქციულ ძალებს თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ქართული სახელმწიფოს მოწინააღმდეგენი სწორედ სოციალური პრობლემების წინ წამოწევის გზით აპირებენ ხალხის დარაზმვას ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არ შეუცვლია და არც მომავალში აპირებს არსებული დამოკიდებულების შეცვლას სახელმწიფოს მეთაურისადმი — ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღეს საქართველოს კრიზისიდან გამოყვანა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადარჩენა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი. ამასთან ერთად, თუ სახელმწიფოს მეთაური არ შეცვლის მუშაობის სტილს, არ გაატარებს რადიკალურ ცვლილებებს ცხოვრების ყველა სფეროში, არ იზრუნებს ქვეყნად წესრიგისა და დისციპლინის დასამყარებლად და, ბოლოს და ბოლოს, არ შექმნის გუნდს, რომელთან ერთადაც რეალურად აიღებს მართვის სადავეებს ხელში, საქართველო ვერ გადარჩება.

ხალხი მოითმენს უკიდურეს გაჭირვებას, თუ ექნება სიტუაციის შეცვლის იმედი და თუ დაინახავს წინსვლას. ხალხი შეცდომებს პატიობს, უმოქმედობას — არა. წესრიგი და დისციპლინა, კანონის უზენაესობა — აი, რა არის სადღეისო ლოზუნგი და სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს ყოველმა მოქალაქემ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამის მისაღწევად. მხოლოდ წესრიგის პირობებში იქნება შესაძლებელი როგორც ომის მოგება, ასევე, ეკონომიკური სტაბილიზაცია, საერთოდ, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა.

მოვუწოდებთ სახელმწიფოს მეთაურს აქტიური და რადიკალური ქმედებებისკენ, ქართველ ხალხს კი — კიდევ უფრო მეტი მოთმენისაკენ, რათა ჩვენი მძიმე მატერიალური მდგომარეობა საქართველოს მტრებმა არ გამოიყენონ.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მეთაური არ ისურვებს უფრო აქტიური პოლიტიკის გატარებას და არ შეწყვეტს აშკარა დამნაშავე ელემენტებისადმი თავზე ხელის სმის პოლიტიკას, ჩვენ მაინც არ ვუმტრობთ მას და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თითოეული წევრი თბილისელებთან ერთად, ყველა ღირსეულ ქართველთან ერთად დაუპირისპირდება დესტრუქციულ და ანტიქართულ ძალებს და მარტო გამოვა ქუჩაში წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დასაცავად: კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს, მხოლოდ წესრიგსა და დისციპლინაშია დღეს საქართველოს ხსნა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ღვთისშვილთა კავშირი იმედს გამოთქვამს

ბოლო ხანს გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ დღევანდელი ხელისუფლების მოღვაწეობას, კვლავ ირჩევენ მოქმედების იმ ფორმებსა და ხერხებს, რაც, სამწუხაროდ, კიდევ უფრო დაძაბავს ისედაც უკიდურესად გამწვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას რესპუბლიკაში. კვლავ გაძლიერდა მოთხოვნები სახელმწიფოს მეთაურის გადადგომისა ან მისთვის უფლებამოსილების შეკვეცის თაობაზე, აპირებენ მიტინგებისა თუ მანიფესტაციების „ტალღის აგორებას" და ა. შ. და მისთ.

სავალალოა, რომ ყოველივე ეს რატომღაც „ემთხვევა" ყოფილი სსრ კავშირის მასშტაბით იმპერიის აღდგენის მოსურნე შავბნელ ძალთა არნახულ გააქტიურებას.

ამასთან, ეს ხდება სახელმწიფოს მეთაურის დიდმნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ ვიზიტთა დაწყების წინ.

თავისთავად ამგვარი მოთხოვნა-აქციები საგანგაშო არ იქნებოდა, ოპოზიციის ლიდერები რაიმე კონსტრუქციულ ალტერნატივას რომ სთავაზობდნენ ქართველ ხალხს.

ღვთისშვილთა კავშირი განსაკუთრებით შეშფოთებულია ოპოზიციონერთა იმ განზრახვით, რომ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად გამოიყენონ მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება ელემენტარულ სოციალურ პრობლემათა (შიმშილობა, სილატაკე და მისთ.) მოუგვარებლობის გამო, აზვიადებენ სუბიექტურ ფაქტორებს ამ სფეროში შექმნილ სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჩქმალავენ რა ობიექტურ მიზეზებს (ე. წ. ეთნოკონფლიქტები, მაფიოზურ-კრიმინალურ ძალთა თარეში, ეკონომიკური გაჩანაგება და ა. შ.). ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსგავსი პრობლემები არანაკლებ უხუთავს სულს ყოფილი კავშირის თითქმის ყველა სხვა რესპუბლიკას.

ღვთისშვილთა კავშირი კიდევ ერთხელ გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ხელისუფლების მტკიცე, ქმედუნარიან სტრუქტურათა ჩამოყალიბება, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარება ქვეყანაში.

ამასთან, თუკი სახელმწიფოს მეთაური არ მიიღებს გადამჭრელ ზომებს ამ მიმართებით, უდავოდ, კვლავაც გაგრძელდება ქაოსი და ანარქია, რასაც, ცხადია, მოჰყვება უმძიმესი, გაუთვალისწინებელი შედეგები.

ღვთისშვილთა კავშირი, მოუწოდებს რა ყველა პოლიტიკურ ძალას თანამშრომლობისა და კონსტრუქციული დიალოგისაკენ, გამოთქვამს იმედს, რომ ქართველი ერი კიდევ ერთხელ გამოიჩენს სიბრძნესა და გონიერებას, რითაც გავუძლებთ უფლისმიერ მორიგ გამოცდას.

ქ. თბილისი, 1993 წლის 17 ივნისი.

როგორ დავაღწიოთ თავი კრიზისს

საქართველოს სამართლიანობის პარტია აცხადებს

საქართველომ დიდი მსხვერპლის ფასად მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა. ორსაუკუნოვანი ტყვეობის შემდეგ მან ძალუძს დაიკავოს დაკარგული ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

ისტორიის ქარტეხილებს მეტნაკლებად თან სდევს კატაკლიზმები, კონფლიქტები, კოლიზიები. ამ კანონზომიერებას ვერც საქართველო ასცდა. ქვეყანა მწვავე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისშია. კრიზისულ ზღვარს მიაღწია არა მარტო ქართული კუპონის, არამედ სულიერ ღირებულებათა დევალვაციამაც, ყველა დონეზე და ყველა სფეროში მაფია დათარეშობს, რაც აღვირახსნილ კორუფციას, სპეკულაციას, ბანდიტიზმსა და ეროვნული სიმდიდრის განუკითხავ განიავებას იწვევს.

მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილობს. მკვეთრად იზრდება უმუშევართა რაოდენობა. ფეხქვეშ ითელება საარსებოდ აუცილებელი სოციალური გარანტიები, სულ უფრო რეალური ხდება სოციალური აფეთქების საშიშროება.

ხელიდან გვეცლება ახალგაზრდობა, ნარკომანია, ლოთობა, პროსტიტუცია, სადიზმი, და „ქურდული რომანტიკა" ჩვენი ახალგაზრდების ცხოვრების ნორმა ხდება.

ჩვენში ქვეყნის გადარჩენის არაერთი მოსაზრება დომინირებს. ერთნი მოითხოვენ სახელმწიფო მეთაურისა და მთავრობის გადაყენებას, მეორენი ხელისუფლების სტრუქტურულ ცვლილებას, მესამენი — „კანონიერი ხელისუფლების აღდგენას", სხვანი — „მესამე თაობის" მოსვლას და ა. შ.

არც ერთი ამ მოსაზრებათაგანი ცალ-ცალკე მისაღები არ არის. რომელიმე მათგანის განხორციელების მცდელობა დღევანდელ ექსტრემალურ სიტუაციაში და პოლიტიკურ ძალთა არსებულ თანაფარდობაში გარდაუვალად გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას და შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს სრულიად საქართველოსათვის.

ქვეყნის ხსნა პოლიტიკურ მანიპულაციებში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ეკონომიკის აღორძინებასა და პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციაში. საამისოდ კი აუცილებელია კონსენსუსი და ეროვნული თანხმობა.

ხელმძღვანელობს რა კეთილი ნებით, საქართველოს სამართლიანობის პარტია გთავაზობთ კრიზისიდან გამოსვლის ზოგიერთ მოსაზრებას:

1. შემუშავდეს სახელმწიფოებრივი კრიზისიდან გამოსვლის კომპლექსური პროგრამა, რომელიც საქართველოს გამთლიანებასა და ეროვნულ თანხმობას დაისახავს მიზნად.
2. უმოკლეს დროში, გამოიძებნოს აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების გზა.
3. მკვეთრად შემცირდეს უზომოდ გაბერილი ჩინოვნიკური აპარატი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება რესპუბლიკის ბიუჯეტს და ფაქტობრივად ხელს უშლის სახელმწიფოს მართვას.
4. გამოიკვეთოს ეკონომიკის განვითარების გეზი. სასწრაფოდ შემუშავდეს ანტიკრიზისული პროგრამა, სადაც კონკრეტულად იქნება გაანალიზებული სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.
5. მიმდინარე წლის, არაუგვიანეს ოქტომბრისა, მოეწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.
6. პარლამენტმა სასწრაფოდ შეიმუშაოს საბაზრო ეკონომიკაზე სრულფასოვანი გადასვლისათვის აუცილებელი საკანონმდებლო საფუძველი. კანონი უნდა უსწრებდეს და არეგულირებდეს პროცესს.
7. დაჩქარდეს პრივატიზაცია და შესყიდვა მოხდეს მხოლოდ კუპონებში.
8. გაიხსნას ცალკე ანგარიში კუპონებზე და ცალკე — უცხოურ ვალუტაზე.
9. რეფორმებში პრიორიტეტული ადგილი დაეთმოს სოფლის მეურნეობას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სამი წლის ვადით მიეცეთ უპროცენტო სესხი. ფული გაიცეს შეუფერხებლივ, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.
10. მთავრობამ შეიმუშაოს დასაშვები ნორმირებული ფასების კატალოგი.
11. არარენტაბელური მიწა, საწარმო, სავაჭრო, თუ საყოფაცხოვრებო ობიექტი, რომელიც ორი კალენდარული წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებს, აუქციონის წესით უნდა გაიყიდოს.
12. ყველა ტიპის სასწავლებლებში, საშუალო სკოლების გარდა, შემოღებული იქნას „შრომითი სემესტრები".
13. საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების ნაცვლად შემოღებულ იქნეს არასრული საშუალო განათლება.
14. მინისტრთა კაბინეტმა პარლამენტს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია რეფორმების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სამართლიანობის პარტიას, გარდა წარმოდგენილი მოსაზრებისა, აქვს რესპუბლიკაში რეფორმების გატარების კონცეფცია, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

საქართველოს სამართლიანობის პარტიის მთავარი კომიტეტი.

მიმართვა

პოლიტიკურ პარტიებსა და პარლამენტის წევრებს

თანამემამულენო! დღეს, როდესაც რეალურად წყდება საქართველოს ბედი, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, ჩვენ, საქართველოს ქალები, მოგიწოდებთ გაიცნობიეროთ თქვენი პირადი პასუხისმგებლობა სამშობლოს, და საქართველოს მოქალაქეების წინაშე. ჩვენ შეშფოთებულნი ვართ იმით, რომ საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრი ომით დაღლილსა და მძიმე სოციალური პირობებით გაწამებულ ხალხს მოუწოდებს გამოვიდეს ქუჩებში, რათა კვლავ გამოიწვიოს დესტაბილიზაცია და ქაოსი. ყველას კარგად ესმის, რომ ეს არ გააუმჯობესებს ხალხის მდგომარეობას, პირიქით, მიგვიყვანს მის მკვეთრ გაუარესებამდე, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ.

დაბეჯითებით მოგიწოდებთ გამოიყენოთ საქართველოს მოსახლეობის მიერ მონიჭებული უფლება — მართოთ სახელმწიფო პარლამენტში და არა ქუჩაში. მოაგვარეთ უთანხმოებები ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურასთან კონსტრუქციული მოლაპარაკებისა და არა კონფრონტაციის გზით.

საქართველოს მოსახლეობამ უკვე იწვნია მიტინგების, მანიფესტაციების, დემონსტრაციებისა და სხვა აქციების დამანგრეველი, სავალალო შედეგები!

დღეს, როდესაც ჩვენი შვილები სიცოცხლეს სწირავენ სამშობლოს, არავის ეპატიება პირადი პოლიტიკური ამბიციების ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დაყენება.

საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის".

ამბები ცხინვალის რეგიონიდან

ახლა ისეთი ლამაზია ცხინვალის შემოგარენი, ავ თვალს არ ენახვება. გაზაფხულის წვიმების მერე მუქ მწვანეში ჩაფლულა ეს ერთ დროს კოხტა, პატარა ქალაქი. რომ არა ქალაქის შესასვლელში ჩახერგილი უშველებელი ბეტონის ფილები და იქვე მდგომი ავტომატიანი ჯარისკაცები, ვერც იფიქრებ, აქ რაიმე ბრძოლები თუ გარდახდილა. მაგრამ ქალაქში მაინც იგრძნობა ომის კვალი. ეს პირქუში ნაკვალევი აღბეჭდილა ქალაქში მოსახლე ოსების სახეზეც და ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მოსახლეობის სახეებზეც.

გავდივართ სოფელ თამარაშენისკენ. გზადაგზა ქალაქში გვხვდებიან ოსი ქალები და ბავშვები, ახლა ცენტრალური ქუჩის გასწვრივ უამრავი კომერციული ჯიხურია, რაც ადრე არ ყოფილა. თამარაშენთან გავიარეთ ოსების საგუშაგო, რომლის პირისპირ, მავთულხლართების მიღმა უკვე ქართველები დგანან. უამრავი ხალხი ირევა აქ, — მოდიან ოსებიც, ქართველებიც, ერთმანეთს ხვდებიან ნაცნობები.

— დავიღალეთ, აღარ გვინდა ომი, ვიცხოვროთ ისე, როგორც გვიცხოვრია. — მეუბნება ერთი ოსის ქალი, რომლის გვარს მისივე თხოვნით არ ვასახელებ (ეს ქალი კარტოფილით სავსე ჩანთასთან დგას და ელოდება ქართველ ნაცნობს, რომელმაც სთხოვა ცხინვალის ბაზრიდან ამოეტანა კარტოფილი, რადგან იქ თურმე შედარებით უფრო იაფია).

— გაჭირდა ცხოვრება. თქვენთან, ქალაქში როგორაა საქმე? — ვკითხე. ქალმა ცრემლები მოიწმინდა, გვიჭირს, ძალიან გვიჭირსო, წაილაპარაკა...

იმედი, რომელიც უნდა ახდეს

მერე ის თამარაშენელი ქართველი ქალიც მოვიდა, ხელში ვაშლით სავსე ბადურა ეჭირა და მათ ნობათი გაცვალეს...

რაც შეეხება დიდი ლიახვის ხეობის ცხრა ქართული სოფლის მოსახლეობის მდგომარეობას, ადრეც ვწერდით, რომ აქ დიდძალი ხილი ლპებოდა. მაგრამ ტრანსპორტის დიდი გაჭირვების მიუხედავად, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მაინც შეძლო ვაშლისა და მსხლის აქეთ გამოტანა. ნაწილს კი იგი გაუფუჭდა. მოსახლეობა გულისტკივილით ლაპარაკობდა, რომ მათ, ვისაც ეს საქმე ევალებოდათ, ჯეროვანი ყურადღება არ გაუწევიათ ხილის ჩაბარება-რეალიზაციისათვის. ასევე მოსახლეობას კარგა ხანია არ მიუღია ფქვილი, შაქარი, სხვა სასურსათო საქონელი.

ხალხი შეშფოთებულია, რომ აქეთ კუპონით ვერაფერს ყიდულობს. რუსული მანეთები კი კარგა ხანია შემოელიათ. სოფელ ქურთას აფთიაქში, ასევე საავადმყოფოში არა აქვთ მედიკამენტები...

ყველაზე ძალიან ამ მხარეში მაინც მგზავრობა ჭირს, ორ კვირაზე მეტი იქნება, ამ სოფლებში ავტობუსი არ დადის, ან თუ იშვიათად გამოივლის, მძღოლი კუპონს არ ღებულობს. ამის გამო, როგორც აქაურები ამბობენ, ახლა ისინი მოდიან მხოლოდ ცხინვალამდე, იქ ქალაქიდან გამოსული მგზავრებით ავსებენ ავტობუსს და ისე ბრუნდებიან გორში. ქალაქის მოსახლეობა რუსულ ფულს უხდის მძღოლს და ისიც ალბათ დიდად არ ნაღვლობს სოფლების მოსახლეობის გადაყვანაზე, რადგან მისთვის, ჩანს, ეს საქმე უფრო სარფიანია. მოსახლეობის დიდი თხოვნაა, ქალაქ გორიდან სოფელ კეხვამდე იაროს ავტობუსმა და მგზავრობის საფასური კუპონებში გადაიხადოს.

ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართება შემდგომში აქ მოვლენები. მაგრამ ერთი რამ კი დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, ორივე მხარის ჯანსაღ ძალებს მოწყინდათ ეს უაზრო, გაუთავებელი კონფლიქტი. და ღმერთმა ქნას, მალე ამ კუთხეშიც ეზეიმოს სიკეთეს, სიყვარულს, მშვიდობას, მალე გადაქცეულიყოს ქალაქი ცხინვალი კეთილი ნების ადგილობრივ მოსახლეობის სასურველ საცხოვრისად.

ძალიან მინდა, იმედიანი აკორდით დავასრულო ეს პატარა წერილი.

იქნებ გადადგან დაღლილი, მაგრამ მართალი ნაბიჯები ამ ადამიანებმა შერიგებისაკენ და ვგონებ, ისინი ვერარა ბოროტებამ ვერ უნდა შეაჩეროს...

ლია ჭიღლაძე.

თბილისი-ცხინვალი-კეხვი

„სრ" სპეც. კორ.

საპრეზიდენტო არჩევნები ირანში:

აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის პოლიტიკური პორტრეტი

1372 წ. 21 ხორდადს ჰიჯრით, შესაბამისად ა/წ 11 ივნისს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები. კენჭს იყრიდა ოთხი კანდიდატი: 1989 წელს პრეზიდენტად არჩეული ჰოჯათ ოლ-ესლამი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი, თეირანის „თავისუფალი უნივერსიტეტის" რექტორი და „კულტურული რევოლუციის უზენაესი საბჭოს" წევრი დოქტორი აბდოლა ჯასბი, ყოფილი შრომის მინისტრი, ჟურნალისტი აჰმად თავაქოლი და ისლამური მეჯლისის ყოფილი დეპუტატი, პოლიტიკური მოღვაწე სეიედ რეზა თაჰერი. როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, 60-მილიონიანი ირანის ამომრჩეველთა უმრავლესობამ (63%) ხმა მისცა ბ-ნ აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის კანდიდატურას. ამ არჩევნებით ირანელმა ხალხმა კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი მხარდაჭერა პრეზიდენტ ა. ჰაშემი რაფსანჯანისა და მისი „გუნდის" უკანასკნელი ოთხი წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი.

ბ-ნი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი დაიბადა 1934 წელს პატარა სოფელ ბაჰრამანში ქალაქ რაფსანჯანის ახლოს (ქერმანის ოსტანი), გლეხის ოჯახში. მამამისმა ალი ჰაშემიმ იცოდა წერა-კითხვა, კითხულობდა ყურანს. იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით თანასოფლელთა შორის. ჰაშემიების ოჯახში იზრდებოდა 9 ბავშვი. აქბარი ბავშვობიდანვე ეზიარა მძიმე შრომას. ბაჰრამანში და მის ახლოს მდებარე სოფლებში მაშინ სკოლები არ იყო და პატარა აქბარის დაწყებითი განათლება შემოიფარგლა სოფლის მოლასთან ნასწავლი წერა-კითხვით. 1948 წელს ისლამური თეოლოგიის შესწავლის მიზნით იგი ჩადის ირანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრში ქალაქ ყუმში. სასულიერო განათლების მიღების პარალელურად ზაფხულობით ეუფლება საშუალო სკოლის საგნებსაც. ქალაქ ყუმის სასულიერო ცენტრში ა. ჰაშემის წილად ხვდა აღიარებულ მოძღვართა მოწაფეობა, კერძოდ, იგი შვიდი წლის განმავლობაში ისმენდა მომავალი ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებლისა და ისლამური ირანის რელიგიურ-პოლიტიკური ლიდერის აიათოლა რუჰოლა ხომეინის ლექციებს. ახალგაზრდა ა. ჰაშემის დაახლოებამ ასეთ ერუდირებულ თეოლოგთან და ძლიერ პიროვნებასთან, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი სასულიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესები და მომავალი საქმიანობის მიმართულება.

1960 წლიდან ბ-ნი აქბარ ჰაშემი აქტიურად ჩაება აიათოლა ხომეინის ბრძოლაში შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ. 17 წლის განმავლობაში იგი ექვსჯერ იყო დაპატიმრებული. მას აწამებდნენ, უკრძალავდნენ წერას, მეჩეთში ქადაგებას. 1978-1979 წწ. ისლამური რევოლუციის პერიოდში ა. ჰაშემი რევოლუციური საბჭოს წევრია, 1979 წელს მას ნიშნავენ შინაგან საქმეთა მინისტრად. 1980 წელს ირჩევენ ისლამური მეჯლისის დეპუტატად და თავმჯდომარედ, ხოლო ირან-ერაყის ომის პერიოდში (1980-1988 წწ) იგი, როგორც იმამ რ. ხომეინის პირადი წარმომადგენელი, შედის წევრად თავდაცვის უმაღლეს საბჭოში და ერთხანს მას, აგრეთვე, დაკისრებული ჰქონდა ირანის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოვალეობაც. 1989 წელს ა. ჰაშემიმ მიაღწია წარმატებას საპრეზიდენტო არჩევნებში.

ბატონი აქბარი კარგი მეოჯახეა. იგი ყურადღებიანი მეუღლე და ხუთი შვილის მზრუნველი მამა გახლავთ. მამამისი გარდაიცვალა, ხოლო დედა დარჩა მშობლიურ სოფელში და ალიზის სახლში ცხოვრობს.

ისლამური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ირანის საშინაო პოლიტიკაში გამოიკვეთა შემდეგი მომენტები: სახელმწიფომ მკაცრი კონტროლი დაუწესა ეკონომიკას; სახალხო მეურნეობაში ადგილობრივი რესურსების გამოყენებისა და საკუთრივ ირანელი ხალხის შესაძლებლობებზე დაყრდნობით გამოცხადდა ე. წ. „თვითუზრუნველყოფის პოლიტიკა" (ე. ი. უარი თქვეს უცხოურ სესხებზე, ერთობლივ საწარმოებზე და ინვესტიციებზე); მოხდა შაჰის, მისი ახლობლებისა და ემიგრაციაში მყოფი მოღვაწეების ქონების კონფისკაცია; ყველა კანონი და ნორმატიული აქტი მიესადაგა ისლამურ დოგმებს; შეუდგნენ ისლამური ადათ-წესების მკაცრ და თანამიმდევრულ დაცვას ცხოვრების ყველა სფეროში; უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს რეჟიმის მოწინააღმდეგეებს. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკაში გატარდა კურსი „ისლამური რევოლუციის ექსპორტის", სხვა ქვეყნის ფუნდამენტალისტთა შეიარაღებული დაჯგუფებების დაფინანსების და ე. წ. „მუსლიმური ინტერნაციონალის" შექმნისა (ცენტრი — ქ. თეირანი); ხორციელდებოდა მკვეთრად ანტიამერიკული, ანტისაბჭოური და ანტისიონისტური პოლიტიკა; შეინიშნებოდა დიპლომატიური ეთიკისა და თვით საერთაშორისო ურთიერთობის ნორმების დარღვევის შემთხვევებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ერაყთან სისხლისმღვრელი ომის პირობებმა გამოიწვიეს ზემოაღნიშნული რეგლამენტირების უფრო მეტი გამკაცრება.

ამ პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური კადრების 75%, წარმოების ხელმძღვანელთა 50%-ზე მეტი სახელმწიფო სტრუქტურაში იყო დასაქმებული, არაოფიციალური მონაცემებით, 1987 წელს საშინაო ვაჭრობის 70%, ხოლო საგარეო ვაჭრობის 90% სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა.

მაგრამ ჯერ კიდევ აიათოლა ხომეინის სიცოცხლეში, განსაკუთრებით ომის ბოლო ეტაპზე, ირანის პოლიტიკურ წრეებში დროდადრო გაისმოდა ფარული და გაუბედავი განცხადებები იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო საშინაო და საგარეო პოლიტიკაში გარკვეული კორექტივების შეტანა, ხოლო აიათოლა ხომეინის გარდაცვალების შემდეგ (1989) აშკარად გაჩაღდა ბრძოლა ორი ძირითადი პოლიტიკური კურსის მომხრეებს შორის: „ისლამური ფუნდამენტალიზმის" მგზნებარე მომხრეები აიათოლა ხომეინის ვაჟის ჰოჯათ ოლ-ესლამ აჰმად ხომეინის მეთაურობით რევოლუციის პირველი წლების მკაცრი კურსის განუხრელ გაგრძელებას ქადაგებდნენ. ამავე დროს „ზომიერების" დასის წარმომადგენელთა, ანუ პრაგმატისტთა აქტიურობა მიმართული იყო უფრო კონსტრუქციული და აწონდაწონილი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებისაკენ. ამ კურსის გამტარებელთა თავკაცი იყო ა. ჰაშემი რაფსანჯანი, რომელსაც ყოველთვის მხარს უჭერდა „ისლამური რევოლუციის" ამჟამინდელი ლიდერი აიათოლა ალი ჰოსეინ ხამენეი.

1989 წელს ა. ჰაშემი რაფსანჯანის პირველი ვადით პრეზიდენტად არჩევის დროს ირანის საშინაო მდგომარეობა ხასიათდებოდა შემდეგი მაჩვენებლებით: 51% დეფიციტის შემცველი სახელმწიფო ბიუჯეტი, უმუშევართა რიცხვი აღემატებოდა შრომისუნარიანი მოსახლეობის 15%-ს, ინფლაციის ზრდის ტემპი უდრიდა 30%-ს, სამრეწველო საწარმოების ნახევარზე მეტი ომის შედეგად დანგრეული იყო, ნავთობის საბადოებისა და ნავთობგადამმუშავებელი სიმძლავრეების ნახევარი გამოყვანილი იყო მწყობრიდან. ირანი აწარმოებდა მხოლოდ 1 მილიონ ტონა ფოლადს, შემოჰქონდა 5 მილიონი ტონა ხორბალი. სხვა მონაცემებიც შთამბეჭდავი გახლავთ: თავსმოხვეულმა დამანგრეველმა ომმა საბჭოთა იარაღით კბილებამდე აღჭურვილ სადამ ჰუსეინის სამხედრო მანქანასთან ირანს ათას მილიარდ დოლარზე მეტი მატერიალური ზარალი მიაყენა, 1989 წელს ირანის ტერიტორიაზე იყო 3 მილიონამდე ლტოლვილი (ავღანეთიდან და ერაყიდან); ირანის მრავალმილიარდიანი ავუარები „გაყინული" იყო უცხოეთში (ძირითადად შეერთებულ შტატებში); დაბოლოს, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ისლამური რევოლუციის პირველსავე წლებში მრავალი ირანელი ბიზნესმენი და ინჟინერ-ტექნიკოსი წავიდა ემიგრაციაში ევროპასა და ამერიკაში.

რაც შეეხება ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობას, იგი მნიშვნელოვანწილად ხასიათდებოდა იზოლირებულობით.

ა. ჰაშემი რაფსანჯანის და მისი კაბინეტის რეალისტური პოზიციისა და მიზანდასახული მუშაობის შედეგად ირანში წარმატებით ხორციელდება „ეკონომიკის მოწესრიგების" („თაადილე ეყთესადი") პოლიტიკა, 1989-1993 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა ომის შედეგად დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებში, გაზიფიცირებულია 150 ქალაქი, 11%-მდეა დაყვანილი უმუშევართა რიცხვი, მინიმუმამდე — ბიუჯეტის დეფიციტი. მიუხედავად მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ხასიათის სიძნელეებისა, ირანი თანამიმდევრულად ახორციელებს მასშტაბურ პროექტებს ქვეყნის ეკონომიკის საბაზისო დარგების რეფორმირების მიზნით.

ჩვენს მეზობლებთან

ირანის ეკონომიკის მესვეურთა აზრით, ამ ასპექტით მეტად მნიშვნელოვანია საგარეო-ეკონომიკური კავშირების როლი. ირანის ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრის ბ-ნ მოჰსენ ნურბახშის ამასწინანდელი განცხადების თანახმად, „სამრეწველო კომპანიების შერწყმა, კავშირების არნახული ზრდა განაპირობებს წარსულთან შედარებით ქვეყნის ეროვნული ბაზრების სულ უფრო დაახლოებას და სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთქმედებას". გასული წლის მიწურულს ი. იბრაჰიმას მიერ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, „ირანის ტექნოკრატები ახორციელებენ ეკონომიკური გარდაქმნების ჭეშმარიტად გრანდიოზულ პროგრამებს, რომლებიც დაფინანსებულია გერმანიის, იაპონიის, იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის მიერ გამოყოფილი 20 მილიარდ დოლარიანი კრედიტებისა და ნავთობის მზარდი ექსპორტის მოგების გამოყენების საფუძველზე".

ირანი ამჟამად აწარმოებს ავტომობილებს, ტრაქტორებს, სხვადასხვა სახის სამრეწველო მოწყობილობასა და ნავთობქიმიურ პროდუქციას. ირანს მეორე ადგილი უკავია ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის — იგი დღე-ღამეში მოიპოვებს 4 მილიონამდე ბარელ ნავთობს. ირანი ახორციელებს მასშტაბურ გრძელვადიან პროექტებს ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებისათვის. 1995 წელს დასრულდება ყოფილი საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენებული ისპაჰანის მეტალურგიული კომბინატის რეკონსტრუქცია. იმდროისათვის ირანს ყოველწლიურად ექნება საკუთარი 3,7 მლნ. ტონა ფოლადის ნაგლინი და 4,5 მლნ. ტონა სხვა პროდუქცია. სამუშაოებს აწარმოებს იტალიური ფირმა „დანიელი". მეორე ხუთწლიანი გეგმის ბოლოს, 1997 წელს, უნდა დასრულდეს 25 კაშხლის მშენებლობა, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდება ელექტროენერგიის მიწოდება და მორწყული იქნება 4 მილიონ ჰექტრამდე სავარგული. 1995 წლისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა 21 ახალი აეროპორტი. 1993/94 საბიუჯეტო წელს (ახალი წელი იწყება 21 მარტს) მწყობრში ჩადგება 4000-მდე სამედიცინო დაწესებულება, 37 რადიო და ტელესადგური, 10 საჯარო ბიბლიოთეკა და სხვა. ირანის სამხრეთდასავლეთით მდინარე ქარუნზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის იაპონია ირანს გაუხსნის კრედიტს 250 მილიონი დოლარის ოდენობით.

ა. ჰაშემი რაფსანჯანის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადებისა და რეალიზაციის საქმეს, ვინაიდან მასში რელიეფურად აისახება ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური ცხოვრების მთავარი კონტურები. ირანული ახალი, 1372 (1993/94) წლისათვის ისლამურმა მეჯლისმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის მთავრობის მიერ შეთავაზებული პროექტი. ახალი წლის ბიუჯეტის ლაიტმოტივია წარმოების ზრდის საფუძველზე ეროვნული ვალუტის (რიალის) კურსის შემდგომი განმტკიცება და „ქვეყნის დაბრუნება წმინდა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისაკენ".

უკანასკნელ ხანებში მთლიანი საშინაო პროდუქციის ზრდამ ირანში 9,9 პროცენტს მიაღწია. გადიდდა საწარმოო, და შესაბამისად, შემცირდა მოხმარების დარგების ხვედრითი წილი მთლიან საშინაო პროდუქტში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 6,6 პროცენტამდე გადიდდა, რაც 1,4 პროცენტით აღემატება გათვალისწინებულს. მნიშვნელოვნად ამაღლდა ხორბლის (9,6 პროცენტი), ბრინჯის (22,7 პროცენტი), შაქრის ჭარხლის (36,2 პროცენტი) მოსავლიანობა მიუხედავად მოსახლეობის ინტენსიური ზრდისა (წლიურად 3,5%), ირანს 1989 წ. შემოტანილი 5 მილიონი ტონა ხორბლის ნაცვლად ამჟამად შემოაქვს 2.5 მილიონი ტონა. ნავარაუდევის ფარგლებში გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. რაც შეეხება სამრეწველო სექტორს, აქ ზრდის უპრეცედენტო (20,6 პროცენტი) შედეგია მიღებული.

ირანის ხელმძღვანელობის აზრით, ეს წარმატებები მოპოვებულია არა მარტო ნავთობისა და გაზის ექსპორტით მიღებული შემოსავლების გონივრული გამოყენებით, არამედ აგრეთვე საბაზრო ეკონომიკაზე გეგმაზომიერი გადასვლის შედეგადაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პრეზიდენტ ა. რაფსანჯანის მიერ გაზეთ „ჯომჰურიე ესლამისათვის" („ისლამური რესპუბლიკა", 25/V-1993) მიცემული ინტერვიუს ერთი ადგილი: „ჩვენ არ გვაქვს უფლება აჩქარებულად განვახორციელოთ პრივატიზაციის პროგრამები. ჩვენ უნდა წესიერ ფასებში გავყიდოთ და წესიერი ადამიანების ხელში გადავცეთ საწარმოები".

თანამედროვე ირანის ეკონომიკის განვითარების მიმართულებანი და ტენდენციები ნათლად ჩანს ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა ირანის საბანკო სტრუქტურების მიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოებისათვის გაცემული შეღავათიანი სესხების მოცულობა: 1988/89 საბიუჯეტო წელს სახელმწიფო სექტორზე სესხის საერთო ოდენობიდან გაიცა 64 %, არასახელმწიფო სექტორზე 36%, ხოლო 1991/1992 საბიუჯეტო წელს შესაბამისად 49% და 51%. საყურადღებო ძვრები შეინიშნება ირანის მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისითაც: 1988/89 წელს ეს ხარჯები შეადგენდნენ ბიუჯეტის 19.3%, ხოლო 1991/92 წ. — 31.3%.

ყოველივე აქედან გამომდინარე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გაზეთ „ქეიჰან ინტერნეშნლში" გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ „90-იანი წლების ირანი რეგიონში წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ ქვეყანას ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით".

მაგრამ მიუხედავად თქმულისა, ქვეყნის რევოლუციამდელი 1977 წლის საერთო სოციალურ-ეკონომიკური დონე 1991 წელს ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული.

ირანში დიდი ყურადღება ეთმობა განათლების საქმეს. ირანული სკოლებისათვის შედგენილი სახელმძღვანელოები უპასუხებენ საერთაშორისო სტანდარტებს. განსაკუთრებით, ეს ეხება ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, ბიოლოგია. 1992 წლის 2 დეკემბერს თეირანის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა ა. ჰაშემი რაფსანჯანიმ განაცხადა, რომ ირანის უმაღლესი სასწავლებლების ნაყოფიერი მუშაობა „სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საწინდარია". გაზ. „სალამის" (27.V.1993) ცნობით, ამჟამად 3 ათასამდე ირანელი სტუდენტი და ასპირანტი ირანის მთავრობის სტიპენდიებით სწავლობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კერძოდ კანადაში, ავსტრალიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში, აქედან 52% საინჟინრო-ტექნიკურ, 16% ფუნდამენტური მეცნიერებისა და 15% სასოფლო-სამეურნეო დარგებში.

რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ მორალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროს, პრეზიდენტ ა. ჰაშემი რაფსანჯანის აზრით: „იგი გარკვეულწილად უხალისოა („ხომჰ") და ეს უხალისობა ზიანის მომტანია. იგი ზოგიერთი ხელოვანისა და შემოქმედებითი მუშაკისათვის დამღლელია, ნიჭისა და გემოვნების გამოვლენისათვის ხელის შემშლელი. საჭიროა რამდენადმე ატმოსფეროს განმუხტვა... ზედმეტი სიმკაცრეების აღკვეთა" („ჯომჰურიე ესლამი", 25/V-1993).

ირანი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწევა. ამჟამად მას ნორმალური საქმიანი კავშირები აქვს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანასთან (შეერთებული შტატების გარდა). სავარაუდოა, რომ ირანის მსხვილი სავაჭრო პარტნიორი—გერმანია — მალე ყველა მაჩვენებლით გაუსწრებს იაპონიასა და იტალიას. ირანმა გადადგა ენერგიული ნაბიჯები სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით. ირანი მასშტაბურ ეკონომიკურ კავშირებს ამყარებს აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან, ჩინეთთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან და შუა აზიის რესპუბლიკებთან. დიდ დაინტერესებას იჩენს ირანი კავკასიის რეგიონის მიმართ.

ირანის საგარეო ურთიერთობათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს. თითქმის ოცი თვეა, რაც სხვადასხვა დონეზე იმართება ინტენსიური დიალოგი ქართულ და ირანულ მხარეებს შორის. საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლები ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ვითარებაში გულმოდგინედ ეძებენ ოპტიმალურ გზებს, რაც მათ საშუალებას მისცემს ფართოპლანიანი ფუნდამენტური შეთანხმებების მისაღწევად. ამ ღონისძიებათა თავისებურ გვირგვინს წარმოადგენდა ა/წ 19-20 იანვარს განხორციელებული საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის უმაღლესი დონის ვიზიტი თეირანში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით.

მაღალი სტუმრები მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერმა აიათოლა ალი ჰოსეინ ხამენეიმ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ. შეხვედრები მოეწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვა სამთავრობო დაწესებულებებში. გამართული მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილი იქნა 17 დოკუმენტი, კერძოდ, ბატონებმა ედუარდ შევარდნაძემ და აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ ხელი მოაწერეს 22 მუხლისაგან შემდგარ დეკლარაციას საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ. ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ეს დეკლარაცია „ქმნის მტკიცე საფუძველს და ნათელ პერსპექტივას ორი ქვეყნის მომავალი თანამშრომლობისათვის", რაც შეეხება ბ-ნ ა. ჰაშემი რაფსანჯანის პოზიციას, იგი გაზეთ „ეთელაათის" („ცნობები" 20/I-1993) ცნობით, იჩენდა „პოზიტიურ მიდგომას და განსაკუთრებულ კეთილმოსურნეობას შეთანხმებების მიღწევის დაჩქარების საქმეში".

იხილავს რა საქართველოს სამთავრობო დელეგაციის უმაღლეს დონეზე განხორციელებული ვიზიტის შედეგებს, გაზეთი „ქეიჰანი" („სამყარო", 20/I-1993) აღნიშნავს, რომ „ირან-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა თვისებრივად ახალ ფაზაში გადადის".

ჩვენი საზოგადოებრიობა მიესალმება იმამ რუჰოლა ხომეინის ნამოწაფარისა და თანამებრძოლის, რეალისტი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის ბ-ნ ა. ჰაშემი რაფსანჯანის მეორე ვადით ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას. გამოვთქვამთ რწმენას, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელები არ დაიშურებენ ძალისხმევას საქართველო-ირანის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების აღდგენისა და ახალი რეალიების გათვალისწინებით ამ კავშირების თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანისათვის.

ჯემშიდ გიუნაშვილი,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი

კომპანია „ოქროს არწივი“

კომპანია „ოქროს არწივი“ გამოსაცემად ამზადებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარეთ ქართველ მეწარმეთა მიერ დაარსებულ დამოუკიდებელი ბანკების, ბირჟების, კონცერნების, კომპანიების, ერთობლივი საწარმოების, ფირმების, მცირე საწარმოების და ა.შ. ცნობარს.

ვისაც გსურთ, მოხვდეთ ამ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ სამენოვან კატალოგში, გააცნოთ მთელ მსოფლიოს თქვენი თავი და ყველაზე იაფად გაუწიოთ რეკლამა საკუთარ საქმეს, მიმართეთ კომპანია „ოქროს არწივის“ სარეკლამო სააგენტოს.

ჩვენი ტელეფონებია: 93-50-66, 99-68-56.
ფაქსი: 98-83-25.

ანაზღაურება ხდება ნაწილობრივი გადარიცხვით.

თბილისის სამედიცინო აკადემია

აცხადებს მიღებას სამკურნალო (50 ადგილი) და სტომატოლოგიურ (20 ადგილი) ფაკულტეტებზე (ფასიანი სწავლება).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირნი 30 წლის ასაკამდე. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფ. 086), 6 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

გამოცდების ხარჯები ანაზღაურდება აბიტურიენტის მიერ, რომელიც უკან არ დაუბრუნდება.

საბუთების მიღება — ყოველდღე 15 ივლისამდე 10 საათიდან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 3 საგანში: ბიოლოგია, ქიმია, უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული).

გამოცდები დაიწყება 20 ივლისიდან. გამოცდების ცხრილს აბიტურიენტები გაეცნობიან საბუთების ჩაბარებისას.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. სწავლა ფასიანია.

თანხამ შეიძლება ცვლილება განიცადოს ინფლაციასთან დაკავშირებით. ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება საფასურის გადახდის შემდეგ. სწავლის ხანგრძლივობა 7 წელია.

ინსტიტუტის მისამართია:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 29, თბილისის სამედიცინო აკადემიის მიმღები კომისია, მე-8 სართული, 345 ოთახი, ტელეფონი: 23-15-93. ღია კარის დღე გაიმართება 17 ივლისს 12 საათზე აკადემიის სააქტო დარბაზში: ჭავჭავაძის გამზირი 33 (მე-9 საავადმყოფო).

დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ისტორია
2. ქართული ენა და ლიტერატურა
3. რუსული ენა და ლიტერატურა
4. იურიდიული (სამართალმცოდნეობა)
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
6. საქონელმცოდნეობა
7. საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი.

ინსტიტუტში გამოცდა-გასაუბრების საფუძველზე მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური, ხოლო უგამოცდოდ უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი, ასაკის მიუხედავად.

ინსტიტუტში ჩარიცხული სტუდენტები შეისწავლიან თურქულ და სპარსულ ენებს, სურვილის მიხედვით.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია.

ინსტიტუტში საბუთების მიღება და ჩარიცხვა იწარმოებს ამა წლის 20 ივნისიდან, ეტაპობრივად.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბროსეს ქ. 8, 46-ე საშუალო სკოლის შენობა (ოპერის უკან). ტელეფონი: 99-96-88.

საქართველოს სამეფო კომპანია იწვევს ორიგინალურ შემსრულებლებს შემდეგ ინსტრუმენტებზე:

ფორტეპიანო,
ვიოლინო,
კონტრაბასი,
საქსაფონი,
საყვირი,
დასარტყმელი ინსტრუმენტები,
ბანჯო,
ფლეიტა.

მისამართი: ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო (რ. თაბუკაშვილის, ყოფილი მნელაძის ქ. 5) ტელ: 98-83-94

ყველა მსურველს!

თქვენი დანაზოგის 200 პროცენტიდან 300-მდე გაზრდას გთავაზობთ საფინანსო-სატრასტო კომპანია

„კონტინენტ-ინტერნეიშენელ“-ი.

მიიღება როგორც კუპონები, ასევე მანეთები. პასპორტის ქონა თან სავალდებულოა.

კომპანია იღებს ტრასტში წარმოების მიერ გამოშვებულ ნებისმიერ პროდუქციას. ჩვენ გადავაქცევთ თქვენს პროდუქციას კონკურენტუნარიანად. იმ ორგანიზაციებისგან, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება კომპანიის მონაგებში, მიიღება პროდუქცია ღირებულებით არა ნაკლებ 40 000 000-სა.

სანაცვლოდ კომპანიას შეუძლია ორგანიზაციებს ნებისმიერი რაოდენობით მიაწოდოს საკვები პროდუქტები, ფართო მოხმარების ნაწარმი, ახალი ტექნოლოგიები და მოწყობილობები.

კომპანია განიხილავს იმ ორგანიზაციების ნებისმიერ საინტერესო წინადადებებს ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე, რომლებსაც უნდათ უბრალოდ გაყიდონ თავისი პროდუქცია.

ჩვენი მისამართია: მარჯანიშვილის ქ. 24/89, „თბილქალაქპროექტ“-ის შენობა, კორპუსი მე-3, სართული მე-8
ტელეფონი: 96-43-71.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო

თბილისის ინდუსტრიული კოლეჯი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

საბიუჯეტო განყოფილება

1. ბიოქიმიური წარმოება

სპეციალიზაცია:

ა) ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება (9 და 11 კლ. ბაზა)

ბ) სპირტისა და ლიქიორ-არაყის წარმოება (11 კლ. ბაზა)

2. ორგანულ ნივთიერებათა და მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიური ტექნოლოგია (11 კლ. ბაზა)

3. დაკონსერვების ტექნოლოგია (11 კლ. ბაზა)

4. გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე (9 და 11 კლ. ბაზა)

5. აეროდრომებისა და საავტომობილო გზების მშენებლობა, ექსპლოატაცია და შეკეთება (9 და 11 კლ. ბაზა)

6. ავტომობილებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (11 კლ. ბაზა)

7. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა (11 კლ. ბაზა)

ფასიანი სწავლების განყოფილება

დღისა და საღამო სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბიოქიმიური წარმოება

სპეციალიზაცია:

ა) ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება (11 კლ. ბაზა)

ბ) სპირტისა და ლიქიორ-არაყის წარმოება (9 და 11 კლ. ბაზა)

2. დაკონსერვების ტექნოლოგია (9 და 11 კლ. ბაზა)

3. გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე (9 და 11 კლ. ბაზა)

4. სამედიცინო ტექნიკის მონტაჟი, ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (11 კლ. ბაზა)

კოლეჯში საბიუჯეტო განყოფილებაზე ჩარიცხული აბიტურიენტების სწავლება სახელმწიფო ხარჯზე მიმდინარეობს და სწავლის ხარისხის მიხედვით თითოეული მოსწავლის თვიური სტიპენდია დღევანდელი მდგომარეობით შეადგენს 2800-დან 3300 მანეთამდე, შემდგომში ხელფასის მომატებასთან ერთად, შესაბამისად მოხდება სტიპენდიის გაზრდა.

ფასიან სწავლებაზე ჩარიცხულნი გადაიხდიან ყოველწლიურ გადასახადს, რომელსაც განსაზღვრავს კოლეჯის ადმინისტრაცია.

საღამო სწავლებაზე მიიღებიან ქ. თბილისის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები აბიტურიენტები.

კოლეჯში ექსპერიმენტის წესით 3 სპეციალობაზე: 1) ბიოქიმიური წარმოება, 2) გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე და 3) ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის სპეციალობებზე მიმდინარეობს ამაღლებული დონის სპეციალისტების მომზადება კოლეჯის პროგრამით, რომლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ მათ ენიჭებათ უმცროსი ინჟინრის კვალიფიკაცია.

აბიტურიენტთაგან საბუთების მიღება წარმოებს 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე, ყოველდღე გარდა კვირისა 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-დან 20 აგვისტომდე.

იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებზე მომზადების დაბალ დონეს გამოამჟღავნებენ, შესაძლებელია საბუთების მიღება გაგრძელდეს შემდგომ ეტაპზე 15 ან 20 სექტემბრამდე.

კოლეჯში შემომსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა (ფ. 086უ), 6 ფოტოსურათი (3x4), შემსვლელი პასპორტს (დაბადების მოწმობას) და სამხედრო დოკუმენტს წარმოადგენს პირადად.

საბიუჯეტო განყოფილებაზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

არასრული საშუალო სკოლადამთავრებულნი (9 კლ. ბაზა)

1. მათემატიკა — ზეპირი

2. ქართული ენა — (წერა) — წაკითხული ტექსტის შინაარსი

საშუალო სკოლადამთავრებულნი (11 კლ. ბაზა)

1. ქიმია — (ზეპირი) — „ბიოქიმიური წარმოების“, „დაკონსერვების ტექნოლოგიის“ და „ორგანულ ნივთიერებათა და მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიური ტექნოლოგიის“ სპეციალობებზე.

2. მათემატიკა — (ზეპირი) — ყველა დანარჩენ სპეციალობაზე

3. ქართული ენა და ლიტერატურა — (წერა თხზულება) — ყველა სპეციალობაზე.

ფასიანი სწავლების განყოფილებაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების წესით

თქვენთვის საინტერესო დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონებზე: 62-34-63, 62-63-06, 62-25-73, 62-35-10 ან მობრძანდეთ კოლეჯის მიმღებ კომისიაში ყოველდღე 10-დან 16 საათამდე (გარდა კვირისა).

მისამართი: თემქის დასახლება, 11-ე მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, თბილისის ინდუსტრიული კოლეჯი

ტრანსპორტი: მეტრო სადგური „თემქა“, ავტობუსები 202, 209, ტრამვაი 3,4

კოლეჯის მიმღები კომისია

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

აგრონომ-ბიოლოგი (დასწრებული და დაუსწრებელი), საკვებწარმოების ტექნოლოგია (დასწრებული და დაუსწრებელი), მცენარეთა დაცვა (დასწრებული და დაუსწრებელი), აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექცია და გენეტიკა, აგროეკოლოგია — დასწრებული.

მეაბრეშუმეობა; აბრეშუმის პარკის გადამუშავების ტექნოლოგია; საინჟინრო ეკოლოგია; მიწათმოწყობა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული და რუსული სექტორები); ღვინისა და ხილის მეურნეობის პროდუქციის შენახვის და გადამამუშავებელ წარმოებათა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილების და ტრაქტორების რემონტი და ტექნიკური მომსახურება; ავტომობილები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური მანქანები; მეცხოველეობის ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია — დასწრებული.

ჰიდრომელიორაცია (დასწრებული და დაუსწრებელი); აგრობიზნესის ეკონომიკა (დასწრებული და დაუსწრებელი); საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი (დასწრებული და დაუსწრებელი); საბუღალტრო და საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა (დასწრებული და დაუსწრებელი); დაკონსერვების ტექნოლოგია (დასწრებული და დაუსწრებელი); სამადუღრო წარმოების და მეღვინეობის ტექნოლოგია (დასწრებული და დაუსწრებელი); სატყეო და ეროვნული პარკების მეურნეობა (დასწრებული და დაუსწრებელი); სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილების და ტრაქტორების ექსპლუატაცია (ქართული და რუსული სექტორები, (დასწრებული და დაუსწრებელი, რუსული სექტორი — მხოლოდ დასწრებული); ხილ-ბოსტნეულის და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია დასწრებული და დაუსწრებელი); დასახლებული ადგილების გამწვანება (დაუსწრებელი). ხილ-ბოსტნეულის შენახვის და გადამუშავების ტექნოლოგია (დაუსწრებელი).

სპეციალობების მიხედვით გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში

— აგრონომ-ბიოლოგი; საკვებწარმოების ტექნოლოგია; სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექცია და გენეტიკა; მცენარეთა დაცვა; აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა; აგროეკოლოგია; ხილ-ბოსტნეულის და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია; მეაბრეშუმეობა — ბიოლოგია, ქიმია.

— დაკონსერვების ტექნოლოგია; სამადუღრო წარმოების და მეღვინეობის ტექნოლოგია; ხილ-ბოსტნეულის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია; აბრეშუმის პარკის გადამუშავების ტექნოლოგია; საინჟინრო ეკოლოგია — მათემატიკა, ქიმია.

— სატყეო და ეროვნული პარკების მეურნეობა; დასახლებული ადგილების გამწვანება — მათემატიკა, ბიოლოგია.

— აგრობიზნესის ეკონომიკა; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი; საბუღალტრო და საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა — მათემატიკა, გეოგრაფია.

— სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტრაქტორების და ავტომობილების ექსპლუატაცია; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილების და ტრაქტორების რემონტი და ტექნიკური მომსახურება; ავტომობილები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური მანქანები; მეცხოველეობის ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია; სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია; ღვინისა და ხილის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და გადამამუშავებელ საწარმოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია; მიწათმოწყობა; ჰიდრომელიორაცია — მათემატიკა, ფიზიკა.

ყველა სპეციალობისათვის მოეწყობა გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა). მთავრული შრიფტით მითითებულია მაპროფილებელი საგანი, რომელშიც მოეწყობა წერითი გამოცდა.

ჩარიცხული ვაჟები უნივერსიტეტში გაივლიან შესაბამის კათედრაზე სამხედრო მომზადებას, ოფიცრის წოდების მინიჭებით.

ღია კარის დღე უნივერსიტეტში ჩატარდება 18 ივნისს 12 სთ.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 20 ივლისამდე. გამოცდები — 23 ივლისიდან 10 აგვისტომდე. აბიტურიენტები იხდიან მომსახურების საფასურს 1500 კუპონს. მსურველები დაკმაყოფილებულები იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

უნივერსიტეტში შემსვლელმა განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;

ბ) სამედიცინო ცნობა (ფორმა 086);

გ) ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4). პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარადგენს პირადად.

სპეციალისტების მომზადება უფასოა და სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.

ცნობები ტელეფონით: 51-40-72, 51-47-66.

მგზავრობა: მეტრო სადგურ „დიდუბიდან“ ავტობუსი 54, გმირთა მოედნიდან — ავტობუსი 27.

ჩვენი მისამართია: 380031, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.

მიმღები კომისია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის წარმოებას მოწყვეტით დღის (დასწრებული) სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამკურნალო — ქართული და რუსული სექტორები, პედიატრიული, პროფილაქტიკური მედიცინის, სტომატოლოგიური, ფარმაცევტული და სამხედრო-სამედიცინო (ვაჟებისათვის) — ქართული სექტორები.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 086). სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტზე შემსვლელები დამატებით 1 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით გაივლიან სამხედრო-საექიმო კომისიას და წარმოადგენენ შესაბამის დასკვნას.
3. ექვსი ფოტოსურათი (3X4 სმ.)
4. პასპორტს და სამხედრო მოწმობას აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ბიოლოგია — წერა,
2. უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) — წერა;
3. ქართული (რუსული) ენა და ლიტერატურა - წერა;
4. ქიმია — წერა.

გამოცდებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად აბიტურიენტები საბუთების შეტანისას ადგილზე გადაიხდიან 2 500 კუპონს.

გამოცდების შეფასება ბიოლოგიასა და ქიმიაში მოხდება 20-ქულიანი სისტემით (დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 11-დან 20-ის ჩათვლით), ხოლო ქართულ (რუსულ) ენასა და ლიტერატურაში და უცხო ენაში — 10-ქულიანი სისტემით (დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით).

სამედიცინო უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით. ჩარიცხვა მოხდება აბიტურიენთა მიერ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.

მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით სახელმწიფო დაკვეთის ზემოთ სამედიცინო უნივერსიტეტში ფასიანი სწავლების ყველა ფაკულტეტზე (სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის გარდა) დამატებით ჩაირიცხება 100 აბიტურიენტი მიღებული ქულების გათვალისწინებით, რომელთაც ვერ დააგროვეს გამსვლელი ქულა, გამოთქვამენ ფასიანი სწავლების სურვილს და გადაიხდიან სწავლების პირველი წლის საფასურს — 200 000 კუპონს. მომდევნო წლებში სწავლების საფასური ყოველწლიურად შეიცვლება ინფლაციის გათვალისწინებით. ფასიან სწავლებაზე ჩარიცხული აბიტურიენტები არ მიიღებენ სტიპენდიას.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა), 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 29, მისაღები გამოცდები მოეწყობა 23 ივლისიდან განრიგის მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამედიცინო უნივერსიტეტის მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამა წლის 27 ივნისს 12 საათზე აწყობს „ღია კარის“ დღეს.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 29, მედქალაქის პირველი სასწავლო კორპუსი, მე-3 სართული.

მიმღები კომისია

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გაეროს ძალების მორიგი სამხედრო ოპერაცია

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რომელიც პენტაგონის წყაროებს იმოწმებს, გაეროს ძალებმა სომალში ახალი სამხედრო ოპერაცია წამოიწყეს გენერალ აიდიდის შეიარაღებული დაჯგუფების წინააღმდეგ. სი-ენ-ენ ტელეკომპანიის ცნობით, ამერიკელთა თვითმფრინავები და ვერტმფრენები ბომბავენ მოგადიშოში აიდიდის საიდუმლო სამხედრო საწყობებს. ოპერაციებს ხელმძღვანელობს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სომალში ადმირალი ჯონ ჰაუ. აიდიდს ადანაშაულებენ 5 ივნისს პაკისტანელ ჯარისკაცებზე თავდასხმაში, რომლის დროსაც 23 ჯარისკაცი დაიღუპა, აგრეთვე მოგადიშოში საპროტესტო გამოსვლების პროვოცირებაში.

უნდობლობის რეზოლუციის პროექტი

იაპონიის ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტს წარუდგინეს მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუციის ერთობლივი პროექტი. ოპოზიცია მთავრობის მეთაურს და მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს კიიტი მიიძავას რეფორმების განხორციელების ბლოკირებაში ადანაშაულებს. რეფორმების მიზანია იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფულის ყოვლისშემძლეობის შეზღუდვა.

მორიგი კონსულტაციები

შვიდი წამყვანი სამრეწველო ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პირადი წარმომადგენლები, (როგორც წესი, საგარეო საქმეთა მინისტრები), რომლებიც უკვე ამთავრებენ ტოკიოში 7-9 ივლისს „დიდი შვიდეულის“ ლიდერების ყოველწლიური თათბირის დღის წესრიგის შეთანხმებას, 18 ივლისს ნიუ-იორკში მორიგ კონსულტაციებს ჩაატარებენ. ერთდროულად ნიუ-იორკში ერთმანეთს ხვდებიან „შვიდეულის“ ფინანსთა მინისტრების მოადგილეები. ამ შეხვედრებზე მთავარი იქნება რუსეთის ფედერაციისათვის წამყვანი დასავლეთის ქვეყნების დახმარების აღმოჩენის საკითხი.

გაეროს უშიშროების საბჭო აფრთხილებს

გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 23 ივნისიდან საერთაშორისო ემბარგო შემოიღოს ჰაიტისათვის ნავთობის მიწოდებაზე, თუ ამ დრომდე ქვეყნის ხელისუფალნი „ხელს არ მოაწერენ შეთანხმებას ჟან-ბერტრან არისტიდის კანონიერი მთავრობის აღდგენის შესახებ და არ დაიწყებენ მის კეთილსინდისიერ განხორციელებას. ეს რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული ოთხშაბათს გამართულ სხდომაზე. რეზოლუციის პროექტი წარადგინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა და ვენესუელამ.

გადაეცა მთავრობის საინფორმაციო სააგენტოს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გამოაცხადა, რომ რადიოსადგურები „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“ გადაეცემა მთავრობის საინფორმაციო სააგენტო იუსია-ს გამგებლობაში. ეს კეთდება ხარჯების ეკონომიისა და მათი მუშაობის უკეთ კოორდინაციის მიზნით. იუსია წარმართავს, აგრეთვე, სამთავრობო რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ მუშაობას.

„ჩვენი გეგმა ითვალისწინებს „ამერიკის რადიომაუწყებლობის პროგრამების აღორძინებას, რომლებიც ასახავენ „ცივი ომის“ შემდეგ მსოფლიოს რეალიებს“. ეს ნათქვამია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ პრეზიდენტის განცხადებაში. „გავაერთიანებთ რა ჩვენს რადიომაუწყებლობის რესურსებს ერთ ჭერქვეშ, — აღნიშნავს პრეზიდენტი, — ჩვენ შევძლებთ არსებითად დავზოგოთ სახსრები, ამასთანავე უზრუნველვყოთ მეტი მოქნილობა გადაცემათა მიმართებასა და ფორმებში, რასაც, როგორც ჩანს, მოითხოვს ცვალებადი საერთაშორისო ვითარება და აუდიტორიის ინტერესები“.

თეთრი სახლის წარმომადგენლების განცხადებით ოთხი წლის მანძილზე დანაზოგი შეადგენს 250 მილიონ დოლარს. ეს მოხდება „ამერიკის ხმის“ სარეტრანსლაციო სადგურის აგებაზე უარის თქმის, გადაცემათა პროგრამების შემცირებისა და ადმინისტრაციული და ტექნიკური ხარჯების შეკვეცის ხარჯზე.

ადრე „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“ ექვემდებარებოდა ამერიკის შეერთებული შტატების რადიომაუწყებლობის სამთავრობო საბჭოს.

„მსოფლიო უფრო მშვიდი და უსაფრთხო გახდება“

სამშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრთა ჯგუფმა მასში წარმოდგენილი ორივე პარტიისაგან მხარი დაუჭირა იმას, რომ დახმარება გაუწიონ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში. ამგვარი დახმარების ღონისძიებანი გათვალისწინებულია კანონპროექტით 1994 საფინანსო წლისათვის უცხოეთის დახმარების შესახებ, რომლის განხილვა დაიწყო წარმომადგენელთა პალატამ. ამ დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილია ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დასახმარებლად მომავალ საფინანსო წელს გამოიყოს 900 მილიონი დოლარი. კიდევ 1,6 მილიარდი დოლარის წავარაუდევია ამ მიზნების ასიგნებისათვის მეორე კანონპროექტით.

„ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მხარდაჭერა უაღრესად საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებისათვის მთელი რიგი მიზეზების გამო, — განაცხადა პრესკონფერენციაზე დემოკრატმა ლი ჰამილტონმა, წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ. — ამ დოკუმენტს 900 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს“. **თუ ამ სახელმწიფოებში რეფორმები წარმატებული იქნება, აღნიშნა მან, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკლებს დავხარჯავთ თავდაცვისათვის, შემცირდება ბირთვული საფრთხე, მსოფლიო უფრო მშვიდი და უსაფრთხო გახდება.** მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თქვა ჰამილტონმა, რომ კანონპროექტი არ ნიშნავს დახმარებას მხოლოდ რუსეთისადმი. პრეზიდენტმა სპეციალურად მოითხოვა 200 მილიონი დოლარი ყოფილი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკების დასახმარებლად. „ჩვენ ძალზე დაინტერესებული ვართ მათი წარმატებით“, — აღნიშნა კონგრესმენმა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ ევროპაში შეიმჩნევა ეროვნულ ნიადაგზე მტრობის ზრდა, რომელსაც შეიძლება სამოქალაქო ომები მოჰყვეს, განაცხადა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ჯეიმს ლიჩმა. **დასავლეთს შეუძლია შეასუსტოს ახალი რეპრესიული რეჟიმების გაჩენისა და „რუსეთის იმპერიის“ აღდგენის პერსპექტივები. ლიჩმა აღნიშნა, რომ, სხვა საკითხებზე დემოკრატთა და რესპუბლიკელთა პოზიციების განსხვავებათა მიუხედავად, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისადმი დახმარების მიმართ მათ საერთო მიდგომა აქვთ.**

მოლაპარაკებაზე თავს შეიკავებს

იაპონიის მთავრობა აპირებს თავი შეიკავოს ტერიტორიულ პრობლემებზე მოლაპარაკებისაგან რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის კიიტი მიაძავას შეხვედრის დროს, რომელიც ივლისში გაიმართება ტოკიოში შვიდი წამყვანი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის თათბირის ფარგლებში.

როგორც დღეს ტოკიოს ყველა წამყვანი გაზეთი იუწყება ოფიციალური წყაროების დამოწმებით, ეს განაცხადა სამშაბათს მოსკოვში ბორის ელცინთან საუბრის დროს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კოიტირო მაცუურამ, რომელიც ტოკიოში „დიდი შვიდეულის“ ფორუმის მომზადების საკითხებს განაგებს.

მან განაცხადა, რომ მომავალი საუბრის დროს პრემიერ-მინისტრს მიაძავას სურს განმარტოს თავისი მთავრობის პრინციპული პოზიცია რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე. ამავე დროს, როგორც მაცუურამ თქვა, იაპონია აპირებს თავი შეიკავოს ტერიტორიულ პრობლემაზე სრულმასშტაბიანი მოლაპარაკებისაგან დასახული შეხვედრის ხასიათიდან გამომდინარე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი არა გწამთ, ბატონო პროფესორებო?

უამრავი ბრალდება და ცილისწამება მომისმენია ბოლო წლების მანძილზე, მაგრამ ის, რაც პატივცემულმა პროფესორებმა: ალექსანდრე ონიანმა, გრიგოლ მარგიანმა, გერონტი გასვიანმა და იოსებ ქვიციანმა წამომიყენეს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 9.VI.93), ყოველგვარ ფარგლებს სცილდება. უნდა ვთქვა, რომ ამ სრულიად დაუმსახურებელმა ბრალდებებმა და შეურაცხყოფამ განსაკუთრებით მატკინა გული, რადგან იგი მომდინარეობს იმ ადამიანებისაგან, რომელთა მოღვაწეობას და მამულიშვილობას ძალიან კარგად ვიცნობ და ძალიან დიდ პატივს ვცემ.

მინდა ვირწმუნო, რომ ჩემს მიმართ გამოთქმული უსამართლო ბრალდებები და გამოთქმები პატივცემულ პროფესორებს ჩაადენინა იმ აღელვებამ და გაღიზიანებამ, რაც გამოწვეულია სავსებით ობიექტური მიზეზებით და რაზედაც ისინი სამართლიანად ლაპარაკობენ წერილის პირველ ნაწილში.

გული მეტკინა, იმიტომაც, რომ პატივცემული პროფესორები ზუსტად იმ სიტყვებით მლანძღავდნენ, როგორც მათ მიერ გაკრიტიკებული გაზეთი „საქართველოს სამრეკლო".

ამის მიუხედავად, ამ პიროვნებების მიმართ ჩემი ადრინდელი პატივისცემის გამო, ნამდვილად არ ამოვიღებდი ხმას და მოვითმენდი იმ უდიდეს ტკივილს, რაც მათ მომაყენეს. მაგრამ არის ერთი მიზეზი, რის გამოც ვწერ ამ პასუხს. საქმე ისაა, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან" შედარებით გაზეთი „დრონი" მცირე ტირაჟით გამოდის, რეგიონებში თითქმის არ მიდის, რის შედეგადაც ჩემს ბევრ მეგობარს, ნაცნობს, ამხანაგს, და რაც მთავარია, ჩემს უამრავ ახლო ნათესავს სვანეთში, ბატონი პროფესორების წერილიდან შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს რაიმეთი აუგად მოვიხსენი ის მხარე, სადაც დაბადებული თუ არა, გაზრდილი მაინც ვარ.

ჩემი ინტერვიუ გაზეთ „დრონში" ასახავს იმ ფაქტობრივ ვითარებას, რაც ხდება ჩვენს ქართლში და რაც შეგვემთხვა უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურის ამ რეგიონში ყოფნის დროს.

ბატონო პროფესორებო: ძალიან გთხოვთ ერთხელ კიდევ, დამშვიდებულ გულზე გადაიკითხოთ ჩემი ინტერვიუ და მწამს, თვითონვე დარწმუნდებით, თუ რაოდენ უსამართლონი ხართ ჩემს მიმართ. თუ რამეში ვერ გაერკვიეთ ან სხვაგვარად გაიგეთ, შევეცდები ახლა განვმარტო ჩემი პოზიცია; ამისათვის იძულებული ვიქნები, მთლიანად მოვიყვანო ის ადგილები, საიდანაც ამოგლეჯილი ციტატებით, სიტყვების გადასმით და გაუმართლებელი კომბინაციებით ცდილობთ ჩემთვის გამორჩეულად საყვარელი კუთხე ამიმხედროთ, „თავის დროზე სვანეთიდან ჩამოსახლებულებს ცხოვრების კარგი პირობები შეუქმნეს, მოხდა მათი ადაპტირება, მაგრამ მთლიანად საქართველოში მდგომარეობის გამწვავებამ თავისი „შედეგი" იქაც გამოიღო — რეგიონში დაგროვდა ბევრი იარაღი, ძირითადად სვანეთიდან წარმოშობილი ახალგაზრდების ხელში. რა თქმა უნდა, არიან შესანიშნავი, აფხაზეთში ნაომარი ახალგაზრდები, რომელთა ვაჟკაცობაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ მათ შორისაც არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც ყაჩაღობენ, მათმა მოქმედებამ იმდენად გაამწვავა ურთიერთობა, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მოხდა დაჭრისა და მკვლელობის ფაქტები და ყველა დაზარალებული სვანეთის წარმომადგენელია".

ბატონებო! რა არის აქ საგანგაშო და სვანეთისათვის შეურაცხმყოფელი? ნუთუ თქვენ შეძლებთ დაამტკიცოთ, რომ სვანეთიდან წარმოშობილებში ცალკეული ადამიანებიც კი არ შეიძლება დამნაშავენი იყვნენ? ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ ამ ყალბი კუთხური პატრიოტიზმით, თქვენს კუთხეს, მის ახალგაზრდობას კარგ საქმეს უკეთებთ? განა თქვენ თვითონვე არ კიცხავთ წინა ხელისუფლებას, რომელმაც შეგნებულად დაურიგა შეუმოწმებელ ხალხს, მათ შორის ქვემო ქართლში ჩასახლებულ სვანი ახალგაზრდობის ნაწილს იარაღი? რაზეა ლაპარაკი, როცა დაუსჯელობით და თავზე ხელის გადასმით გათავხედებული ერთ-ერთი ახალგაზრდა გახსნილი ხელყუმბარით შემოვიდა იმ ოთახში, სადაც სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის სხვა წევრები იმყოფებოდნენ და რომ არა ბატონ ივერი ჩელიძის ვაჟკაცობა, რომელმაც უდიდესი ძალისხმევით შეძლო მისი უვნებელყოფა, ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა.

პასუხი ოპონენტებს

ჩვენ ინტერვიუში ვლაპარაკობთ იმაზე, რომ არ მოხდა დამნაშავეთა დროული იზოლირება, რის გამოც, ადგილობრივმა მოსახლეობამ გადაწყვიტა თვითონ იძიოს შური, რასაც ის ამტკიცებს, რომ ყველა დაზარალებული სვანია. მაგრამ საიდან მოიტანეთ, რომ მე ამას დადებით მოვლენად ვთვლი? ეს ხომ დამნაშავეთა (ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი) დროზე არგამოვლენამ და დაუსჯელობამ გამოიწვია? ან ვის ეპარება ეჭვი სვანების ვაჟკაცობაში? პირიქით, მე ვწერ, რომ თუ იქ პროცესი მართვადი არ იქნება, ამას მოჰყვება საპასუხო, არანაკლებ სისხლიანი რეაქცია, რაც სერიოზულ და დიდ კონფლიქტში გადაიზრდება.

ჩვენ ვწერთ: „სიტუაციას ამძიმებს ის გარემოება, რომ ერთ-ერთ დაჭრილს, რომელიც იმყოფება ბოლნისის საავადმყოფოში, იცავენ სვანები, იმ მიზეზით, თითქოს საავადმყოფოში მოხდება თავდასხმა, სხვათა შორის, პროვოკაციის მცდელობა იყო — საავადმყოფოს მიმართულებით სროლები". ამ ციტატას პატივცემული პროფესორები ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებენ, თითქოს თ. ფიფიას აზრით, „სიტუაციას ამძიმებს თურმე არა ის, რომ ახალგაზრდა ბიჭი, სასიკვდილოდ დაჭრეს, არც ის, რომ დაჭრილი კაცის სიცოცხლის ხელყოფის მიზნით, საავადმყოფოს გარედან უშენენ ტყვიას, არამედ ის, რომ საოპერაციო მაგიდაზე სიკვდილთან მებრძოლ კაცს მისი მეგობრები იცავენ და მოძალადე მკვლელებს საავადმყოფოში შემოსვლის საშუალებას არ აძლევენ?"

ღმერთო ჩემო! სად ისწავლეთ ასეთი ლოგიკა, ბატონო პროფესორებო? განა მე არ ვწერ, რომ საავადმყოფოში მყოფთ საფრთხე ემუქრება — რომ საავადმყოფოს მიმართულებით იყო სროლები. მაგრამ ჩემთვის საგანგაშო და სიტუაციის დამამძიმებელი ის იყო, რომ მხოლოდ არანორმალურ სახელმწიფოში და არანორმალურ ვითარებაში შეიძლება მოქალაქე მოქალაქის სიცოცხლეს იცავდეს — მოქალაქის სიცოცხლე და უსაფრთხოება უნდა დაიცვას მხოლოდ სახელმწიფომ და არა სხვა ვინმემ, თუნდაც იგი ძმა და მეგობარი იყოს. სადაც ეს პრინციპი დარღვეულია, იქ სიტუაცია დამძიმებული კი არაა, დაღუპულია. ამგვარი ვითარების გამართლება კი, ბატონო პროფესორებო, არასახელმწიფოებრივი აზროვნებაა და თუ თქვენ მართლაც გული შეგტკივათ ქართულ სახელმწიფოზე, ამას არ უნდა ამბობდით და მით უმეტეს, არც უნდა წერდით, მით უფრო თქვენ, რომლებსაც საკმაოდ დიდი ავტორიტეტიც გაქვთ სვანეთის მოსახლეობაში. თქვენი მსჯელობა კი, მაპატიეთ, საერთო ეროვნული პოზიციებიდან სრულიად გაუმართლებელია, სრული სამართლებრივი ნიჰილიზმის მაჩვენებელია და სახელმწიფოებრივი აზროვნების შეუსაბამობრივ დონეს არ სცილდება.

ეს ბრალდება ზნეობრივი ასპექტითაც მიუღებელია, ვინაიდან ბატონი პროფესორები ცდილობენ, ამიმხედრონ დაჭრილი ახალგაზრდა კაცის ახლობლები, რომლებიც ისედაც გაღიზიანებული არიან ნამდვილი დამნაშავის დაუკავებლობით. ამიტომ, აქ ყოველ სიტყვას დიდი მოზომვა სჭირდება, არადა, (ვწუხვარ, ამის თქმა რომ მიხდება), იმ დაჭრილი ახალგაზრდა კაცის გადასარჩენად შუაღამეზე ნახევარი თბილისი შემოვირბინე გულმკერდის ქირურგის მოსაძებნად, რომლის დროულმა ჩასვლამ და მაღალკვალიფიციურად გაკეთებულმა ოპერაციამ იხსნა კიდევაც დაჭრილის სიცოცხლე.

ერთი რამ მინდა ბოლოს აღვნიშნო. არასოდეს მიფიქრია, დამნაშავეებზე და ყაჩაღებზე ლაპარაკი ამა თუ იმ კუთხის შეურაცხყოფა იყოს. რაც მე სამეგრელოში მოკალათებულ ყაჩაღებზე მიწერია, განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს, ბატონი პროფესორების ლოგიკას რომ გავყვეთ, სამეგრელოს დაუძინებელი მტერი უნდა ვიყო. მაგრამ საბედნიეროდ, ეს ჯერ არავის მოსვლია აზრად.

რაც შეეხება შეურაცხმყოფელ სიტყვებს, ამას თქვენი ასაკის გამო გულმოწყალედ მოგიტევებთ, ბატონო პროფესორებო, და იმედს ვიტოვებ, ყოველ ადამიანში ღვთისაგან ჩადებული შინაგანი ხმა, რომელსაც სინდისს ეძახიან, პასუხს მოგთხოვთ მოყვასის მიმართ ცილისწამებისა და უსამართლო მოქმედებისათვის.

პატივისცემით,
თემურ ფიფია.
11.06.93 წ.

ისრაელში და ამერიკის შეერთებულ შტატებში

წლევანდელ ივლისში ორი დიდი კომპლექსური სპორტული ასპარეზობა გაიმართება: ერთი — აშშ-ში, მეორე — ისრაელში. ორივეგან გამოვლენ საქართველოს ათლეტები. ამერიკაში გაიმართება მსოფლიო უნივერსიადა, ისრაელში კი — მსოფლიო „მაკაბიადა".

6 ივლისს ისრაელში დაიწყება შეჯიბრება, 8 დღის შემდეგ კი აშშ-ში აღიმართება უნივერსიადის ალამი.

მატატიატის ოჯახს, ისრაელში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაკაბი შეარქვეს. ამ ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი კოხენ მაკაბი და მისი 5 ვაჟი, ხალხმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე გმირებად შერაცხა. დღეს „მაკაბის" სახელი ჰქვია მთელს მსოფლიოში გავრცელებულ ებრაელთა სპორტულ საზოგადოებას, რომელიც ოლიმპიადის მსგავსად 4 წელიწადში ერთხელ მართავს სპორტულ თამაშებს — მაკაბიადებს.

6 ივლისს თელ-ავივში, რამათგანის სტადიონზე (აქვეა „მაკაბის" შტაბ-ბინა) გაიხსნება მეთოთხმეტე მაკაბიადა, სადაც დამოუკიდებელი საქართველოს დროშით პირველად გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის ებრაელი სპორტსმენები.

„მაკაბის" ორგანიზაცია თბილისში 1990 წლის 28 მარტს შეიქმნა, რომელსაც გახსნილი აქვს ფეხბურთის, კალათბურთის, კარატეს, ჩოგბურთის და სპორტის სხვა სახეობების ჯგუფები.

როგორც ვარაუდობენ, მეთოთხმეტე მაკაბიადაზე თითქმის ყველა კონტინენტის ებრაელი სპორტსმენები იასპარეზებენ.

საქართველოს მაკაბელების მოთხოვნა — გაეწევრიანებინათ ისინი ევროპის „მაკაბის" კონფედერაციაში, რატომღაც ჯერჯერობით უყურადღებოდაა დატოვებული. რაც შეეხება ე. წ. „სნგ"-ს, იგი ერთიანი გუნდით გამოვა ისრაელში. სხვათა შორის, სნგ-ს „მაკაბმა" საერთაშორისო ორგანიზაციიდან გარკვეული თანხები გამოუყო მაკაბიადაში მონაწილეობისათვის, რომელიც ბალტიისპირეთის სპორტსმენებსაც კი გაუნაწილდა, საქართველოს მაკაბელები კი არავის გახსენებია.

ჩვენს სპორტსმენებს ისრაელში გამგზავრების უზრუნველყოფას ჰპირდება თბილისში „სოხნუთის" წარმომადგენლობა და „ჯოინტი" — ამერიკელ ებრაელთა ორგანიზაცია.

საქართველოს „მაკაბის" ვიცე-პრეზიდენტმა დავით მანაშეროვმა გაგვაცნო ის სპორტსმენები, რომლებიც მეთოთხმეტე მაკაბიადაში მონაწილეობის რეალური კანდიდატები არიან. აი, ისინი: მოჭადრაკე გენადი ზაიჩიკი, ჩოგბურთელი მაკა წიწუაშვილი, ნიჩბოსანი ჯემალ ნანიკაშვილი, მოჭიდავე გოჩა ციციაშვილი (ბერძნულ-რომაული), მოფარიკავე იოსებ მაწონაშვილი, კარატისტი მამუკა თეთრაშვილი, მოშაშე გოგონა ლინა მიხელაშვილი, მოჭადრაკე თამარ გაგულაშვილი.

წლეულს გაზაფხულზე გამართული საქართველოს „უნივერსიადა-93" წინამორბედებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ არ გამოცხადებულა ე. წ. კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებული უმაღლესი სასწავლებელი.

უნივერსიადები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება კომპლექსურ ჩათვლაში, უხვი ქულები რომ ჩაეწერათ, ხშირად „აკრძალულ ილეთებსაც" კი იყენებდნენ...

წლეულს კი წინა უნივერსიადისგან განსხვავებით 28 სპორტის სახეობის ნაცვლად 15 სახეობაში გაიმართა სტუდენტთა შეჯიბრებები, რადგანაც ყველა უმაღლეს სასწავლებელს არა ჰყავს, მაგალითად, წყალში მხტომელები, ხელბურთელი ქალები, ფრენბურთელები... ამიტომ ამ სახეობებში უნივერსიადის გამართვას აზრი არ ჰქონდა.

სამაგიეროდ საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ (შეიქმნა 1992 წლის ოქტომბერში) უნივერსიადა გამართა მკლავჭიდში, რაგბიში, ძიუდოში (ეს სახეობები არ არის შეტანილი მსოფლიო უნივერსიადაში).

აშშ-ის ქალაქ ბუფალოში წლეულს პირველად, საქართველოს სახელით დაახლოებით 25-30 სპორტსმენი იასპარეზებს მსოფლიო უნივერსიადაში. ესენი იქნებიან წყალბურთელი ვაჟები, 4 ან 5 მოფარიკავე. 3-4 მძლეოსანი — მტყორცნელები, 4 ჩოგბურთელი და ერთი მოცურავე.

ადრე საქართველოს სპორტსმენებს არაერთხელ გაუმარჯვნიათ მსოფლიოს უნივერსიადებში ყოფილი სსრკ-ს ნაკრებ გუნდებში, ბუფალოში კი იფრიალებს დამოუკიდებელი საქართველოს დროშა და ჩვენები საქართველოს სახელს დაიცავენ.



საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გივი მძლეურმა გვითხრა: — უნივერსიადაში 1000 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. მართალია, რთული ეკონომიკური ვითარებაა საქართველოში, მაგრამ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ არცერთ სპორტის სახეობაში არ გამოსულან უცხო ენების ინსტიტუტი და ბათუმის უნივერსიტეტი (ბათუმელები წინა უნივერსიადაზე 10 სახეობაში გამოვიდნენ). არც ქუთაისის უნივერსიტეტს შეუწუხებია თავი, მხოლოდ მორაგბეები გამოვიდნენ საკუთარი ხარჯით. სხვათა შორის, ამ უმაღლეს სასწავლებელში გააუქმეს სპორტული კლუბი. ასე მოიქცნენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც.

თითქმის ყველა მონაწილეობდა მოჭადრაკეთა ტურნირში.

შარშან ჩვენი მოჭადრაკეები პირველი მერცხლები იყვნენ სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატში: მათ საქართველოს სახელით იასპარეზეს და მეორე გუნდური ადგილი მოიპოვეს, ლაშა ჯანჯღავა კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სტუდენტთა შორის. ქეთევან კახიანი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

მომავალ უნივერსიადებში აუცილებლად უნდა გამოვიდნენ, ანუ გაწევრიანდნენ საუნივერსიტეტო სპორტის რესპუბლიკურ ფედერაციაში, ჩვენში საკმაოდ მომრავლებული უმაღლესი კომერციული სასწავლებლების სტუდენტი სპორტსმენები.

ქართული სტუდენტური სპორტის მომავალი, მისი თავისთავადობის შენარჩუნება ერთობ საშური საქმეა, მას დიდი მზრუნველობა სჭირდება.

საერთაშორისო საუნივერსიტეტო სპორტს შარშან ნახევარსაუკუნოვანი იუბილე გადაუხადეს. მისი პრეზიდენტი 1961 წლიდან არის მსოფლიოში ცნობილი სპორტული მოღვაწე პრიმო ნებიოლო, რომელიც განაგებს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას.

გაბრიელ ბარჯაძე.

* * *

ფეხბურთი

გაიმართა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ევროპული ჯგუფების კიდევ 4 შესარჩევი მატჩი. გთავაზობთ მათ შედეგებს: III ჯგუფი. ლიტვა-ირლანდია 0:1. IV ჯგუფი. ფარერის კუნძულები — ჩეხეთ-სლოვაკეთი 0:3. V ჯგუფი. ისლანდია-უნგრეთი 2:0. VI ჯგუფი. ფინეთი-ისრაელი 0:0.

* * *

ეკვადორში დაიწყო „ამერიკის თასის" მორიგი გათამაშება, რომელშიც კონტინენტის 12 უძლიერესი ნაკრები გუნდი მონაწილეობს, მათ შორის პირველად ამ პოპულარული ტურნირის 76-წლიან ისტორიაში — ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის კოლექტივები.

გახსნის მატჩში მასპინძლებმა— ეკვადორელმა ფეხბურთელებმა შანსი არ დაუტოვეს ვენესუელებს — 6:1. ურუგვაიმ 1:0 სძლია აშშ-ს.

ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების ერთ-ერთი ნახევარფინალური წყვილი — „რეალი"-„ბარსელონა" სპეციალისტებმა სამართლიანად მონათლეს ნაადრევ ფინალად.

მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის გრანდების მძაფრმა ბრძოლამ საერთო გამარჯვება და ფინალის საგზური მადრიდელებს მოუტანა — 1:1 (შინ) და 2:1 (სტუმრად).

საპატიო ჯილდოსათვის გადამწყვეტ დავაში „რეალის" მეტოქეს დაასახელებს „სარაგოსა" — „ვალენსიას" საპასუხო პაექრობა (პირველი მატჩი ვალენსიაში ფრედ დასრულდა — 1:1).

კალათბურთი

პროფესიონალ კალათბურთელთა ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების სერია ოთხ მოგებამდე გრძელდება.

უკანასკნელი ორი წლის ჩემპიონი — „ჩიკაგო ბულზი" ახლოსაა მორიგ ტრიუმფთან. იგი ანგარიშით 3:1 ამარცხებს „ფენიქს სანზს".

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის ა/წლის 16 ივნისის № 126 ნომერში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდის ფორმირების შესახებ" გაიპარა შეცდომა:

მე-7 მუხლის მე-8 აბზაცში სიტყვა „განხორციელებულის" ნაცვლად უნდა იყოს სიტყვა „განსაკუთრებული".

ხსოვნა

გიორგი შუშანაშვილი

ქართველ ფილოსოფოსთა რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი უხუცესი და უნიჭიერესი მეცნიერი გიორგი ისაკის ძე შუშანაშვილი.

დაიბადა 1907 წელს თიანეთში, 1936 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. რამდენიმე წელს მუშაობდა მშობლიურ რაიონში, ხოლო 40-იანი წლებიდან იგი უკვე სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობს. მან, როგორც მეცნიერმა, იმ წრეში აიდგა ფეხი, რომელსაც თაოსნობდნენ შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, გრ. კალანდარიშვილი და სხვები. 1946 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაციები.

ფილოსოფიის ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1946 წ.) გ. შუშანაშვილი ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი თანამშრომელია. რამდენიმე წელს განაგებდა ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან განყოფილებას. მისმა ნაყოფიერმა სამეცნიერო მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ინსტიტუტის რესპუბლიკის ფილოსოფიური კვლევა-ძიების ცენტრად გადაქცევას.

გ. შუშანაშვილი წლების მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს თბილისის უნივერსიტეტში, მუშაობდა ასპირანტებთან და დამწყებ მეცნიერ მუშაკებთან. წავიდა ჩვენგან დიდებული მოქალაქე და ერუდირებული მეცნიერი, რომლის ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ნაცნობების გულში.

საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოება; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

გურამ ლემონჯავა



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სწავლული აგრონომი გურამ შოთას ძე ლემონჯავა.

დაიბადა 1939 წელს ჩხოროწყუში. სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა მეურნეობაში, სადაც განვლო გზა მუშიდან აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორობამდე. 1967 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. 1976 წელს ჭოლა-ნაკიანის ტუნგის მეურნეობის დირექტორად დაინიშნა, 1977 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კი ხელმძღვანელობდა ლესიჭინის რუსთაველის სახელობის ჩაის მეურნეობას, რომელიც მისი თაოსნობითა და მეცადინეობით აგროსამრეწველო კომბინატი გახდა.

მის დროს სოფელში აშენდა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღები, კლუბ-კანტორა, ჩაის მიკროფაბრიკა, კაპიტალური ხიდები, წყალსადენი, მოასფალტდა გზები, მთავრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის მშენებლობა...

მიწის შვილი ვარო, და მუდამ იმის ცდაში იყო, სხვასაც მასავით ჰყვარებოდა მიწა, სოფელიც ღონიერი ყოფილიყო და მშრომელი კაციც. ბევრის გაკეთება მოასწრო, მეტის სურვილიც ჰქონდა, მაგრამ გულმა უმტყუნა.

შესანიშნავი მოქალაქის, კარგი მეგობრისა და მეოჯახის, სპეციალისტისა და ორგანიზატორის გურამ ლემონჯავას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო; ჩხოროწყუს ადგილობრივი მმართველობის გამგეობა; სახელმწიფო კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკი"; ჩხოროწყუს აგროსამრეწველო სამმართველო.

საზაფხულო ფორმის ტანსაცმლის ტარების შესახებ

საზაფხულო სეზონის დადგომასთან და ჰაერის ტემპერატურის მომატებასთან დაკავშირებით

ვბრძანებ:

1. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 1-მე-2 საარმიო კორპუსის მეთაურებმა, სასაზღვრო ჯარების სარდალმა, შინაგანი ჯარების სარდალმა, საზღვაო სამმართველომ, სამხედრო-საჰაერო ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სამმართველომ, ცალკეული ნაწილების მეთაურებმა და სამხედრო დაწესებულებების უფროსებმა ა/წ-ის 20 ივნისამდე უზრუნველყონ პირადი შემადგენლობა საზაფხულო ფორმით. ჩაატარონ სამწყობრო დათვალიერება და 20 ივნისიდან გადავიდნენ საზაფხულო ფორმის ტარებაზე.
2. გენერლები, ოფიცრები, ზემდეგები ატარებენ ფორმა № 5-ს: ნაცრისფერი შარვალი, ცისფერი ან თეთრი პერანგი (გრძელი, მოკლე) სახელოებით, ჰალსტუხით ან მის გარეშე, შავი ფეხსაცმელი, ქუდი ნაცრისფერი.
3. ჯარისკაცები — სერჟანტები — ფორმა № 1: ქურთუკი და შარვალი ჩაშვებული, კომუფლირებული ან „ავღანური", ქურთუკი ჩატანებული შარვალში, შავი ფეხსაცმელი, კეპიანი ქუდი, სახელოები გადაკეცილია იდაყვამდე, შეხსნილია საყელოს ერთი ღილი.
4. სამხედრო ნაწილების მეთაურებმა და სამხედრო ორგანიზაციებმა საზაფხულო ფორმის ტარებაზე გადასვლამდე ჩაატარონ საზაფხულო ტანსაცმლის ქიმწმენდა და რეცხვა.
5. გარნიზონის უფროსებმა, სამხედრო კომენდატებმა და სამხედრო ნაწილის მეთაურებმა გააძლიერონ კონტროლი აღნიშნული ფორმის ტანსაცმლის ტარების წესების შესრულებაზე.

თავდაცვის მინისტრი, გენერალ-მაიორი
გ. ყარყარაშვილი.

ქ. თბილისი, 1993 წლის 16 ივნისი.

მოგითხრობთ თავიანთი საქმის ოსტატებზე

გეუცხოვათ, არა, სათაური? გამოგიტყდებით, არც მე მეგონა თუ ასეთ სიტყვას „წავაწყდებოდი". „მზარეულის", „ოსტატის" და „ხელობის" განმარტებები მაინტერესებდა. საბას მივმართე.

მზარეულ — „საჭმელთ მოქმედად" ბრძანებს საბა, „ხელობა", „მოსაქმეობა რამ არისო", რაც შეეხება „ოსტიგანს", საჭმელ-სასმელთა მნეაო. მგონი, შემთხვევით მივაგენი შეფ-მზარეულის ქართულ სახელს, რით არ ესადაგება იგი საჭმელ-სასმელთა მნეს? იქნებ ღირდეს, უცხო სახელის— შეფ-მზარეულისათვის ძირძველი ქართული გამოთქმა — ოსტიგანი დავუბრუნოთ?

კმარა, ლინგვისტიკური ძიებანი, ეს ენათმეცნიერების საქმეა. ჩვენ კი ამ ნარკვევის გმირს — ოსტიგანის სახელით მონათლულ პირველ შეფ-მზარეულ უშანგი მაისურაძეს გაგაცნობთ.

ოსტიგანი

„...შემწვარ-მოხრაკულის სუნი ბინდავს ყნოსვას. ვრცელ სამზარეულოში სხვებისაგან გარჩეულადაც გამორჩეული ახოვანი ვაჟკაცი ტრიალებს. შეხედავ, გესიამოვნება, — მაღალი, ლამაზი, მხარბეჭიანი. წლებს ბევრი ვერაფერი დაუკლია უშანგი მაისურაძისთვის. მეშვიდე ათეულს ამთავრებს და მაინც ისევ მხნე და ომახიანია. ესაა, ცოტა უჭირს სიარული — ეს მეორე მსოფლიო ომისათვის გაღებული ხარკია.

ქათქათა ხალათი, მაღალი ჩაჩი, ქვევით — წინსაფარი, მხარზე — ტილო, ხელში — ქაფქირი. ასე გამოიყურება იგი სამუშაო ადგილზე. აქ დანარჩენებიც თეთრ ფორმაში დაფუსფუსებენ.

მისი სტიქია სამზარეულოა. კერამიკულ ფილებში ჩამჯდარ მრავალკონფორიან ქურაზე ჯარისკაცებივით ჩარიგებულ-ჩარიგებულან ოხშივრის ბურუსში გახვეული დიდრონ-დიდრონი და პატარ-პატარა მოთუხთუხე ქვაბები, ვეება და მომცრო აშიშხინებული ტაფები... დინჯად, დარბაისლურად აუვლის და ჩაუვლის თავის სამფლობელოს შეფ-მზარეული. ოსტატის თვალს არაფერი გამოეპარება, მოკლე განკარგულებებს იძლევა: „აქ — გაზს აუწიე!", „მარილი აკლია — წაუმატე!", „კმარა, გადმოიღე!"

— ახლავე ბატონო, — ისმის პასუხად. უმალ სრულდება ყველა განკარგულება.

ფსორიდან, ზემო რაჭიდან არიან წამოსულები მაისურაძეები, ჯოხაძეები, დვანაძეები... — დიდი სოფელი როდია ფსორი და მაინც ჰყავს საქვეყნოდ სახელგანთქმული ადამიანები. აი, თუნდაც კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი ავთანდილ მაისურაძე მოვიგონოთ.

ისევ ცოცხლობს ხალხში რაჭველი კაცისაგან საშოვარზე წამავალი შვილის დალოცვა: ქვე გამოხვალ მეხაშე და ქვე გამოხვალ მეპურე. მეხაშის გზაზე დამდგარი კი თბილისში იოლად რომ მომაგნოთ, მარტივ „ადრესს" უტოვებდა შინაურებს: ცხვირის თავი ახატია, პირცია აბაზია. არ ვიცი, იმავე „კლასიკური" დალოცვით დააქვავლიანა თუ არა ნიკოლოზმა თავისი უშანგი, ის კი აშკარაა, რომ ბიჭმა სხვა, ამ კუთხისათვის არანაკლებ ტრადიციული ხელობა — მზარეულობა აირჩია და დიდ წარმატებებსაც აღწევს.

ომგადახდილმა ვაჟკაცმა ხარკოვის საკულინარო სასწავლებელი დაამთავრა, რომელიც უთანრიგო და პირველი კლასის რესტორნების წარმოების უფროსებს ამზადებდა. ბედმა გაუღიმა, იმ დროისათვის თბილისში ყველაზე პრესტიჟული სასტუმრო „ორიანტის" (შემდგომში „ინტურისტის") რესტორანში მოხვდა. აქ თავი მოეყარათ საერთოდ კულინარიისა და კერძოდ, ქართული სამზარეულოს „გრანდებს" — მისი კუთხის ხალხს — დავით ჯოხაძეს და ავთანდილ მაისურაძეს, სერგო გობეჯიშვილსა და ალექსანდრე რთველაძეს, ქუთაისელ ალექსანდრე ლეკიშვილს (განთქმული იყო მისი ხარჩო და ბორში). მათი წყალობით გაიარა პრაქტიკული სწავლების ახალი სკოლა და შეფ-მზარეულამდე ამაღლდა. შეგირდმა იმით მიუზღო მადლი ოსტატებს, თავის მიერ ხელდასხმული 70 ახალგაზრდა შემატა ქართველ მზარეულთა სახელოვან პლეადას.

ემაყება უშანგ მაისურაძეს, ისეთი პრესტიჟული სუფრის სამზარეულოსათვის უთავკაცია, რომელსაც წინანდლის ჭავჭავაძეთეულ მამულში მეღვინეობის მსოფლიო კონგრესის მონაწილე საპატიო სტუმრები უსხდნენ. კაცმა რომ თქვას, მართლაც, სად უნდა გაცხადებულიყო მთელი სისრულით ქართული სტუმარმასპინძლობის ფენომენი, მისი სიდიადე და თვითმყოფადობა, თუ არა სუფრის ორი მთავარი კომპონენტის — საჭმლისა და სასმლის — აქ წარმოჩენილ ქურუმთა წინაშე? (საერთაშორისო დეგუსტაციებზე ხომ ჩვენს ღვინოებსა და კონიაკებს უთვალავი ოქროსა და ვერცხლის მედალი აქვთ მოპოვებული). ამ სასმელებს გვერდით დგომის ღირსეული პარტნიორობა ქართულ სამზარეულოსაც ხომ უნდა დაედასტურებინა! აკი დაადასტურა კიდეც!

ჭეშმარიტად ზღაპრულად ჩანს: სუფრას 1500 სტუმარი უჯდა, 600 ემსახურებოდა, 1.000 ქათამი დაიკლა, 150 კილოგრამი დარჩეული ნიგოზი დაიხარჯა, 2.600 შემწვარი, ნიგვზიანი ბადრიჯანი დამზადდა (გაიხსენეთ თამარ მეფის ქორწილი: 100 სული ძროხა დაკლეს და 200 ღედალორი). აი, ასეთ სამზარეულოს თავკაცობდა ბატონი უშანგი და მთავრობის დიდი მადლობაც დაიმსახურა.

ერთი, და იქნებ მთავარი, ნიუანსი. ათასი ჯურის კაცი დადის დუნიაზე. ბიჭი ხარ და ყველას გუგავ, ყველას ასიამოვნებ. მაშინ როდესაც, ნათქვამია, ფერსა და გემოვნებაში თითოეული თავის გზას ირჩევსო. რაკი მოსწონთ და აქებენ კიდეც ბატონ უშანგისა და მისი გუნდის ნახელავს, ჩანს, მიუგნიათ „ოქროს შუალედისათვის", რომლითაც ყველას გულს ინადირებენ. მარტო 360 ათასი უცხოელი ტურისტისათვის უცია პატივი რესტორან „რიწაში" და ამდენი კაცი უქცევია ქართული სამზარეულოს დესპანებად.

საჭმლის ყველა კომპონენტთან ერთად, მზარეულის პირის გემოზე, ყნოსვასა და თვალზეა დამოკიდებული კერძის ავ-კარგი. შეკმაზვის გარდა, სათვალიოდაც უნდა გამოირჩეოდეს, კლიენტს მზერას სტაცებდეს, მადიანიც იყოს, პირწყალი მოუვიდეს, სულმა წასძლიოს, გულმა გაუწიოს.

მოდი, და ნუ იტყვი ასეთ მზარეულზე, მართლაც ხელოვანიაო, ანუ „საქმის კეთილად მოქმედი", როგორც საბა ბრძანებს. იგი რომ ჭეშმარიტი შემოქმედია და სიახლის მაძიებელი, იმითაც დასტურდება, რამდენიმე თავი ახალი კერძი აქვს შექმნილი (სხვათა შორის, კერძებსაც ჰყავთ თავიანთი ავტორები). უშანგ მაისურაძე სულ ცოტა ოთხი ასეთი ახალი ნაწარმის (ტექნოლოგიის) ავტორი გახლავთ: გუფთარი სვანური, ღვეზელი ქალაქური, „სელიანკა" ქართული, ფურნის მწვადი.

მზარეულის პროფესია არც ისე უბრალოა, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით ვინმეს მოეჩვენოს. კარგად თუ ჩავუკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ, თურმე, ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ დიპლომატიური, სამეცნიერო თუ კომერციული შეხვედრების სამზარეულო ჩვეულებრივ კულინარულ სამზარეულოზეც გადის და აგვირგვინებს კიდეც უმაღლესი სამთავრობო დონის შეხვედრები იქნება თუ საქმიანი გარიგებები.

აქვე ვიტყვით, რომ უშანგ მაისურაძემ პირადად 11 ათასი მანეთი შეიტანა თავდაცვის ფონდში, ხოლო სტიქიური უბედურებებით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად — 6 ათასი მანეთი.

რაც ჩვენში კომერციულ ნიჭსა და ინიციატივას ხელ-ფეხი გაეხსნა, იმ დროიდან ბატონი უშანგი თბილისის რესტორან „ქალაქურის" შეფ-მზარეული ან, ახლებურად (ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველია), თუ ვიტყვით, ოსტიგანია.

მაშ, დავულოცოთ გზა ახალ სარბიელზე, ახალ ვითარებაში — ერის აღორძინების ფერხულში ჩაბმულ ჭარმაგ ვაჟკაცს, უშანგ მაისურაძეს.

სერგო ხარაზიშვილი.

იტალიაში — ინგლისურად — ქართველ მეცნიერს...

იტალიაში, ქ. ტურინში იტალიელმა მეცნიერებმა ინგლისურ ენაზე გამოსცეს ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის გამგის აკადემიკოს კოტე წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „სემიტიკა", რომლის ლათინური სახელწოდების ქვეშ გარეკანს აწერია: „სემიტოლოგიური ძიებანი კონსტანტინე წერეთლის პატივსაცემად".

კრებულში, რომლის რედაქტორები არიან: პროფ. პენაკეტი (ტურინი). პროფ. კონტინი (რომი) და პროფ. ტოსკო (გენუა), წარმოდგენილია ბ-ნ კოტე წერეთლის კოლეგებისა და მოწაფეების სამეცნიერო სტატიები იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ფინეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, და, ცხადია, საქართველოდან (თამაზ გამყრელიძე, მარიამ ნედოსპასოვა, ლალი ცოცხაძე, მაია ჭელიძე). კრებულში მოცემულია იუბილარის შრომების ბიბლიოგრაფია და მისი სამეცნიერო მოღვაწეობის საკმაოდ სრული დახასიათება.

კრებულს წამძღვარებული აქვს აკად. კოტე წერეთლის პორტრეტი, შესრულებული მისი ვაჟის სოსო წერეთლის მიერ 1981 წელს.

ესტრადა

დაგვიბრუნდი, ბესო!

საქართველოში სიმღერა და ლექსის წერა ყველამ იცისო, ამბობენ, მაგრამ, რჩეული მაინც რჩეულია.

წლების წინათ, ბესიკ კალანდაძე პირველად რომ გამოჩნდა ქართული ესტრადის კაბადონზე, მასში ამომავალი ვარსკვლავი დაინახეს. თუმცაღა ვარსკვლავის ბედი სულ სხვაგვარად წარიმართა —სწორედ მაშინ, როდესაც სრულად უნდა გამობრწყინებულიყო მისი ორიგინალური ნიჭი, იგი სცენიდან გაქრა იმდენად პროზაული მიზეზების გამო, თქმაც რომ უსიამოვნოა, ისევე, როგორც უამრავი რამ ამ ბოლო ხანებში (ადრეც, რაღა ბოლო ხანებში) ჩვენს ცხოვრებაში.

ქართული საესტრადო სცენა ერთი და ორი მომღერლის წასვლით არ დაცარიელდება, მაგრამ ბესიკ კალანდაძის გარეშე ამ ასპარეზზე ის სიცარიელე დარჩა, რომელსაც ერთადერთი სახელი თუ შეავსებს — ისევ ბესიკ კალანდაძე!

ამ ბოლო ხანებში ერთ-ორ საქველმოქმედო ტელემარათონში გაიელვა — ისევ ის განუმეორებელი ტემბრი, ისევ ის არაჩვეულებრივად ლამაზი, ჭაბუკი ხმა, ერთი სიტყვით, — ისევ ის ბესო კალანდაძე.

სწორედ ამ დღეებში საქართველოს ტელევიზიამ ერთი საინტერესო გადაცემა უჩვენა — მაიკლ ჯექსონის ტელეინტერვიუ, ჯექსონისა, რომელსაც 14 წლის ასაკის შემდეგ ინტერვიუ არ მიუცია. გვიჩვენეს, რა ზღაპრულ გარემოში ცხოვრობს იგი. ამ შემთხვევაში ფეშენებელურ ვილებს და საარაკო ინტერიერს არ ვგულისხმობ. სიტყვას ზღაპრულს პირდაპირი მნიშვნელობით ვხმარობ. ის სამყარო, რომელიც ჯექსონს შეუქმნია, სხვა არაფერია, თუ არა გაცოცხლებული ზღაპარი. „ბავშვობაში რაზეც ვოცნებობდი, ის აეხდინეო", ტელეკომენტატორს ეუბნებოდა.

ასეა, სამწუხაროდ: მხოლოდ ნიჭი, ღვთით მონიჭებული, საკმარისი არ ყოფილა. როგორც ჩანს, უფრო მთავარი არ უნდა შეგეშალოს — სად დაიბადო, რომ იცხოვრო იმ ზეგარდმო მადლცხებული მირონით, იმ საქმით და იმ საქმისთვის, რისთვისაც ზენამ ამ ცხოვრებაში მოგავლინა, იცხოვრო ისე, რომ, თუ მოგენატრა, ბავშვობის სამყაროს დაბრუნებაც შეიძლო. თუ არა, იძულებული შეიქნები მოიგლიჯო შენი არსებიდან უმთავრესი და ცხოვრების პროზაში ჩაიძირო.

ყველაფერი ასეა, და მაინც... იქნებ ზოგჯერ შეუძლებელიც შესაძლებელია, იქნებ იმათი სურვილიც ცოტა არ არის, ვისთვისაც ცარიელია უშენოდ სცენა, ბესო, იქნებ მაინც ის არის უფრო მთავარი, რისთვისაც „გაჩნდით ამ ქვეყანაზე", რადგან თუ ატრაქციონებით ვერა, იქნებ სწორედ სიმღერით მაინც გააცოცხლოთ გარდასული ბავშვობის განუმეორებელი სამყარო. ამიტომ, დაიწერა ეს წერილი, ბესო!

გალინა ხარებაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური უმაღლესი პროფესიული კოლეჯი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების სპეციალობებზე:

ეკონომიკური ფაკულტეტი:

1. ეკონომიკა და მართვა სახალხო მეურნეობის დარგებში (9 და 11 კლ. ბაზა);
2. საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი (9 და 11 კლ. ბაზა);
3. კომერციული საქმიანობის ორგანიზაცია (9 და 11 კლ. ბაზა).

იურიდიული ფაკულტეტი:

1. სამართლისმცოდნეობა;
2. სოციალური უზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია;
3. საქმისწარმოება და არქივმცოდნეობა (9 კლასის ბაზა).

გამოცდები ჩატარდება ეკონომიკურ სპეციალობებზე: მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

იურიდიულ სპეციალობებზე: საქართველოს ისტორია (ზეპირი) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

9 კლასის ბაზაზე: მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

განცხადებები მიიღება ყოველდღე 30 ივლისამდე გარდა კვირა დღისა 10 საათიდან — 16 საათამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს

ა) განათლების დოკუმენტის დედანი,

ბ) სამედიცინო ცნობა ფორმა 086 უ.

გ) ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4). პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

მისამართი: თბილისი, მუხიანის II მიკრორაიონი, 32 კორპუსი, ტელ.: 62-04-21, მეტრო სადგური „ახმეტელის თეატრი".

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0488.
SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА